

ივანე
ჯავახიშვილის
სახელობის
თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გაზეთი
გამოდის
1927 წლიდან



„გაღების ტრიფონი“
დაწყებული ტრიფონი

საბჭოების

უნივერსიტეტი

30

აპრილი, ოთხშაბათი, 2008 წ. №6 (2073)

ფასი 30 თეთრი



რატომ ავტონომია?

23 აპრილს საჯარო ლექციების ციკლის ფორმატში საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და დაინტერესებული ფართო აუდიტორიის წინაშე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა წარსდგა.

ლექცია თემაზე: „რატომ ავტონომია?“ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იმ სამშვიდობო გეგმის მორიგი ინიციატივის გამოხმაურება და თეორიული პოზიციაა, რომელიც აფხაზეთისთვის შეუზღუდავი ავტონომიის სტატუსის მინიჭებას, უმაღლესი დონის პოლიტიკური წარმომადგენლობის შექმნას, საკანონმდებლო ვეტოს დადების უფლების მიცემას და აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების დანერგვას ითვალისწინებს.

იმთავითვე ცხადია, რომ ქართული სახელმწიფო საქმეს მხოლოდ იმის გამო ირთულებს, რომ მან არჩეული ფორმით გაცილებით უფრო რთული პრობლემა — ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოაწესრიგოს.

ავტონომია, როგორც „უსისტემა“ სისტემა, წინააღმდეგობრივი ცნებაა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ის არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ქაოსს. ნებისმიერ სახელმწიფოს საკუთარ ფარგლებში

ავტონომია ყველაზე მწვავე კონფლიქტების სამართლებრივ სიბრტყეზე გადატანისა და კონტროლის საშუალებას იძლევა და, ამავდროულად, არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს სახელმწიფოს დასუსტებას. ავტონომიური ერთიანობა მრავალფეროვნებაშია, მაგრამ ასევე გულისხმობს ჩარჩოების არსებობას, რომლითაც შესაძლებელია მისი სახელმწიფოებრივ ერთიანობაში რეალიზება.

ავტონომიური სტატუსის ერთ-ერთ პარადოქსად, რომელიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს წაადგება, მიჩნეულია ის გარემოება, როცა მხარეები ერთმანეთს დაშორების გზით უახლოვდებიან. გასათვალისწინებელია, რომ მხარეების დაშორება გონივრული დისტანციის ფონზე ხდება და არა ისე, როგორც საქართველოს რეალობაშია. დღეს, ფაქტობრივად, აფხაზეთი დანარჩენი ქვეყნისგან იზოლირებულია (და არა დაშორებული). თბილისი და სოხუმი გარკვეულწილად ერთმანეთს არ აღიზიანებენ, მაგრამ ეს დისტანცია სამართლებრივად კონსტიტუციით განსაზღვრულია და თუ ბოლოდროინდელი ინიციატივის მიხედვით ვიმსჯელებთ, არსებული ვითარება არის ე.წ. დელეგირებული მართლწესრიგი, სადაც იგულისხმება, რომ აფხაზეთის მართლწესრიგი კლასიკური ფედერალიზმის ავტონომიების შემთხვევა არ არის.

„ფიქრობ, სამომავლოდ, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის მოდელი ორსუბიექტიანი სახელმწიფოს მიმართულებით არ უნდა წავიდეს. თუ ავირჩევთ ისეთ მოდელს, სადაც პოლიტიკური ფრონტი ყოველთვის გავა თბილისსა და სოხუმს შორის, გაცილებით უფრო სერიოზული ალბათობა იარსებებს საიმისოდ, რომ ორ ცენტრს შორის ურთიერთობა ყოველთვის დაძაბულობის მუხტის შემცველი იქნება. მნიშვნელოვანია, ვიფიქროთ ისეთ ვარიანტზე, რაც ერთგვარად მოხსნის ფრონტის ხაზს და სოხუმს მისცემს განცდას, რომ თუ იგი თბილისთან დაპირისპირებას მოინდომებს, აუცილებელი იქნება, კოალიცია შექმნას სხვა ერთეულთან. ასეთ შემთხვევაში თბილისი გამოვა ერთგვარი „გამშველბელი მეთაური“ როლი. თბილისთან კოალიციისა და კავშირის შეკვრის სურვილი სოხუმს ყოველთვის უნდა გაუჩნდეს იმისათვის, რომ მას სხვა ტერიტორიულ ერთეულთან ურთიერთობა მეტად გაუადვილდეს.“

— თქვა ლექციაზე გიორგი ხუბუამ. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს დამოკიდებულება თსუ-ის რექტორისთვის უცნობია, მაგრამ საქართველოს გეოგრაფიულ ერთეულებში აჭარის ავტონომია რომც არ არსებობდეს, როგორც წესი, ცენტრალური ხელისუფლება ხელოვნურად უნდა ცდილობდეს ამგვარი კოალიციების შექმნის შესაძლებლობის გაჩენას. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია წინასწარ პროგნოზირებული კონფლიქტი, რომლის განვითარება აღნიშნული ფორმით უნდა მოხდეს.

მე-3 გვერდი



სათუნა ხატიაშვილი

როგორც რექტორმა ლექციის დასაწყისში განაცხადა, აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო მოხსენებების დისკუსიის გახსნა გამოხატავს სურვილს, რომ ინიციატივებს, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა საერთაშორისო თანამშრომლობაში, ასევე აქტიური განხილვისა და საზოგადოებრივი კონსენსუსის საგანი გახდეს აკადემიურ და სამეცნიერო წრეებშიც. ბუნებრივია, ავტონომია წმინდა აკადემიური განსჯის თემა არ არის და ის პოლიტიკური საკითხია, მაგრამ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არანაკლებ საინტერესოა, ავტონომიის, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი კატეგორიის თეორიული ასპექტები, რაც ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს მომავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელს საფუძვლად უნდა დაედოს.

იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზეთის თემისადმი საზოგადოება საკმაოდ მგრძობიარეა, აუდიტორიის წინაშე წარდგენილი მოდელი განხილული იქნა ავტონომიური სტატუსისთვის დამახასიათებელი ნეგატიური და პოზიტიური ასპექტების, მათი მნიშვნელობის, უპირატესობის

და პარადოქსების გათვალისწინებით, რომლის ნაწილიც სწორედ აფხაზეთთან მიმართებაში არსებული ავტონომიის ცალკეულ დებულებებს უკავშირდება.

ავტონომიის პარადოქსები

ავტონომია ტერიტორიული მოწყობის რთული ფორმაა და პირველი კითხვა, რაც შეიძლება ლოგიკურად დაისვას, შემდეგნაირად გამოიყურება: რატომ ვირთულებთ საქმეს?

პრეზიდენტის მიერ გამოხატული ინიციატივა არ იძლევა საფუძველს, რომ ხელისუფლებას სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობის მოდელი აქვს არჩეული, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ქვეყანა, რომლის შემადგენლობაშიც შედის ავტონომიები, არის რთული სტრუქტურის მქონე და არჩევანი კეთდება მის ფორმაზე, უფრო რთული პრობლემების მოგვარების მიზნით.

ამიტომ კითხვა — რა უფრო რთულია, საქართველოს მომავალი ტერიტორიული მოწყობის რთული მოდელი თუ აფხაზეთის რეინტეგრაცია საქართველოს შემადგენლობაში? — რიტორიკული შეკითხვაა და

იერარქიული სტრუქტურა გააჩნია, თუმცა ავტონომია, რომელიც შესაძლებელია რეალიზებული იყოს უნიტარული სახელმწიფოს პირობებშიც, ფუნქციონირების თავისებურებებით და რთული ხასიათით გამოირჩევა.

„არ უნდა დაგვაგინდეს, რომ ავტონომია ყოველთვის ერთიანობის შენარჩუნებას ესწრაფვის და მის გარეშე სახელმწიფოსა და წესრიგის წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია. ავტონომიის უმთავრესი იდეა წესრიგს უკავშირდება, მაგრამ არა ტოტალურს, რომელიც ცდილობს ჩაახშოს არსებული წინააღმდეგობა. ჩვენს სინამდვილეში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობა აბსოლუტურად მოკლებულია სამართლებრივი და იურიდიული კონტროლის ჩარჩოებს. ასეთ ფონზე სახელმწიფო მოწყობის ვერანაირი ფორმა ვერ მოხსნის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სიმწვავეს, თუკი ავტონომიის ფორმით მისი სამართლებრივ სიბრტყეზე გადატანა არ მოხდება. არსებულ დაპირისპირებას ჩვენ იურიდიულად კონტროლირებადი ხასიათი უნდა მივცეთ.“ — აღნიშნა რექტორმა.

უმაღლესი განათლების სამიტს ვაშინგტონში ბიორბი ხუბუა დაესწრო

ვაშინგტონში უმაღლესი განათლების სამიტი გაიმართა. შეხვედრას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პატრონაჟით ჩატარდა, მსოფლიოს სხვადასხვა 12 უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ შორის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა. სამიტის მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტების თანამშრომლობას, მეცნიერებასა და ტექნიკაში ახალი საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას. სამიტზე შემაჯამებელი სიტყვა კონდოლიზა რაისმა წარმოთქვა.

ქართველებს ქცევის წესი და ეთიკა არავისბან გვესწავლება

მე-4 გვერდი

თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონის ფოთში გახსნა მსოფლიო ბიზნესთან ინტეგრირების საუკეთესო წინაპირობაა

მე-5 გვერდი

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მსოფლიო და 37 დამოუკიდებელი კანდიდატი იღებს მონაწილეობას

მე-7 გვერდი

„პოეტი თუ ხარ, შენი ხალხი უნდა გამოაღვიძო“

მე-11 გვერდი

უნივერსიტეტის დოქტორანტიების რიცხვი ამ დროისთვის 396-ს შეადგენს

ხათუნა ხატიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტიების რიცხვი ამ დროისთვის 396-ს შეადგენს, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა (228) ქალია.

თსუ-ის სასწავლო დეპარტამენტის ინფორმაციით, დოქტორანტიურაში 2006 წელს — 318, 2007 წელს — 64, 2008 წელს კი — 28 სტუდენტი ჩაირიცხა.

2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური საბჭოს 67-ე დადგენილების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 ფაკულტეტიდან დოქტორანტიურაში მიღება მხოლოდ ხუთზე გამოუცხადდა. (იურიდიულ ფაკულტეტს ამ ეტაპზე მიღება არ გამოუცხადებია).

იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელი გამოცდების შედეგად დოქტორანტიურაში ჩარიცხულთა სია ოფიციალურად ჯერ გამოქვეყნებული არ არის, ცნობილია, რომ მიღება გამოცხადებული იყო 85 სადოქტორო პროგრამაზე, რომელთაგან 44 განკუთვნილი იყო თსუ-სა და იმ კვლევითი ინსტიტუტების ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის, რომლებთანაც უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული.

აღნიშნული სადოქტორო პროგრამებით სარგებლობის უფლება აქვთ მაგისტრატურის ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული დიპლომის მქონე პირებს, ასევე ყოფილ ასპირანტებს და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებს, რომელთაც ჩასაბარებელი დარჩათ საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგანი.

ერთი სადოქტორო პროგრამა — ინტერდისციპლინარულია და მოქმედებს მედიცინის ფაკულტეტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების ბაზაზე.

დოქტორანტიურაში ჩარიცხვისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნები იყო ერთერთი ევროპული ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) ცოდნა და გასაუბრება შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ სექციაზე.

ინგლისური ენის ჩასაბარებლად დარეგისტრირებული 170 კონკურსანტიდან დადებითი შეფასება 83-

მა მიიღო, გერმანული ენის გამოცდის ჩასაბარებლად დარეგისტრირდა 48 მსურველი, რომელთაგან გამსვლელი ქულა 11-მა დააგროვა, ხოლო ფრანგული ენის გამოცდის შედეგად დარეგისტრირებული 20 კონკურსანტიდან დადებითი შეფასება მიიღო გამოცდაზე გასულმა 14-მა კონკურსანტმა.

დოქტორანტიურაში მისაღები უცხო ენის გამოცდები საერთაშორისო სტატუსის მქონე ორგანიზაციების მიერ წერილობით, ტესტის ფორმატით ჩატარდა. უცხო ენის დონედ განისაზღვრა ALTE B2. დოქტორანტიურაში მისაღებ გამოცდებს გაზაფხულის სემესტრისთვის რუსული ენაც დაემატა (აკადემიური საბჭოს 2008 წლის 25 თებერვლის დადგენილება №77).

2007-2008 სასწავლო წლის ორივე სემესტრის მისაღები გამოცდა ინგლისურ ენაში ბრიტანეთის საბჭომ (დიდი ბრიტანეთის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში) ჩატარდა. ბრიტანეთის საბჭო წლების განმავლობაში ვაცემს მსოფლიოში აღიარებულ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ Cambridge-ის სერტიფიკატებს.

თსუ-ის დოქტორანტიურაში ჩაბარებისთვის ALTE B2 გადალახულად ითვლებოდა ტესტის 60%-ის შესრულების შემთხვევაში (სადოქტორო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია“-ზე ჩასაბარებლად საჭიროდ მიიჩნეოდა ALTE C1 დონე და ის დაძლეულად ითვლებოდა ტესტის 70%-ის შესრულების შემთხვევაში). გამოცდის შედეგად მომდებოდა მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერისა და კითხვის კომპეტენციები და შესაბამისად სერტიფიკატიც არ გაიცემოდა.

2007-2008 სასწავლო წლის ორივე სემესტრის მისაღები გამოცდა ფრანგულ ენაში მაღალი ობიექტურობით და უსასყიდლოდ საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლებმა ჩაატარეს.

გერმანულ ენაში მისაღები გამოცდა ჩაატარა გოეთეს ინსტიტუტმა, ამავე ინსტიტუტში არსებული წესებით — ენის ცოდნის ოთხივე კომპეტენციის შეფასებით. დადებითი ქულის მიღების შემთხვევაში კონკურსანტებზე გაიცემოდა გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, რომელიც სხვა ენის გამოცდებისგან განსხვავებით (მიღებული დადებითი შეფასება გამოიყენება მხოლოდ შიდასაუნივერ-

სიტეტო სარგებლობისთვის) იძლევა საშუალებას, გამოიყენონ გამოცდის შედეგი, როგორც ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი საერთაშორისო ორგანიზაციებში წარსადგენად.

შემოდგომის სემესტრის მიღებისთვის თსუ-ის დოქტორანტიურის გამოცდების პერიოდი დაემთხვა გოეთეს საგამოცდო ცხრილს და იგი ოქტომბერში ჩატარდა. გაზაფხულისთვის კი იგივე შეუძლებელი აღმოჩნდა, რის გამოც, გაზაფხულის სემესტრისთვის დოქტორანტიურის მსურველებს გამოცდა თსუ-ის ენების ცენტრმა თებერვლის დასაწყისში ჩაუტარა (თუმცა, მხოლოდ ALTE B2 დონეზე — წერისა და კითხვის კომპეტენციები). სადოქტორო პროგრამა „გერმანული ფილოლოგიის“ ხელმძღვანელმა სრულიად სამართლიანად, კონკურსანტთა მიღების წინაპირობად გერმანული ენის ცოდნა სრულფასოვან ALTE C1 დონეზე მოითხოვა, ამიტომ ამ პროგრამაზე ჩაბარების მსურველი 4 ადამიანი გამოცდაზე, აპრილში, გოეთეს ინსტიტუტში გავა.

გოეთეს ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პროცესში მორიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. კერძოდ, უნივერსიტეტის წარდგინებით ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოცდებზე გასული კონკურსანტებისთვის, როგორც ALTE B2, ასევე ALTE C1 დონეზე გამოცდის ჩაბარება დაბალი ტარიფით (50 ლარად) განხორციელდებოდა. ჩვეულებრივი ტარიფის (160 ლარი) გათვალისწინების ფონზე ეს დიდი შეღავათს ნიშნავს.

რუსულ ენაში 2007-2008 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის მისაღები გამოცდა თსუ-ის ენების ცენტრმა ჩაატარა, რომლის ტესტები საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად რამდენიმე დღეში მომზადდა და მისი ნიმუხიც თსუ-ის საიტზე წინასწარ განთავსდა.

თსუ-ის დოქტორანტიურის განყოფილების წარმომადგენელთა შეფასებით, რუსული ენის გამოცდა მარტის დასაწყისში საკმაოდ მაღალი ხარისხით ჩატარდა. მთლიანობაში კი დოქტორანტიურაში მისაღებ უცხო ენის გამოცდებში მონაწილე სამივე საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარება და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაფასებასა და მაღლიერებას იმსახურებს.

საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2008 წლის 8 აპრილს სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად მორიგი კონკურსი გამოაცხადა.

საკონკურსო სამეცნიერო მიმართულებები: საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; მათემატიკა, მექანიკა; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; დედაამინის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; სამედიცინო მეცნიერებები; საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; აგრარული მეცნიერებები.

მაია ტორაძე

დადგინდა, რომ ფონდში საკონკურსო დოკუმენტაცია 2008 წლის 1 მაისიდან 27 მაისის ჩათვლით უნდა წარადგინონ. დისტანციურად (ელექტრონულად) დარეგისტრირებული პოეტების წარდგენის ვადა 2008 წლის 28 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით.

17 აპრილს საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა (GNSF) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა საკონკურსო პირობებში არსებული სიახლეების გაცნობის მიზნით უნივერსიტეტში ერთობლივი საკონსულტაციო სემინარი გამართეს.

სემინარზე დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გრანტს მოპოვებენ, წარდგენილი პროექტის ამოქმედების დასაწყისისთვის, ანუ 2009 წლის 1 იანვრისთვის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი და მენეჯერი აუცილებლად უნდა ითვლებოდნენ იმ ორგანიზაციების დროებით ან მუდმივ თანამშრომლებად, რომელიც მითითებულია საკონკურსო პროექტში. სხვა შემთხვევაში ხელშეკრულება არ გაფორმდება.

საკონსულტაციო სემინარზე კიდევ ერთხელ დაისვა ექსპერტების მიერ პროექტების ობიექტური შეფასების პრობლემა. მიკერძონათის თავიდან აცილების მიზნით, მეცნიერებმა მოითხოვეს, პროექტების წარმდგენთა ანონიმურობის დაცვა ისე, როგორც ეს ექსპერტების შემთხვევაში ხდება. მათი აზრით, ამა თუ იმ პროექტის ქულებით შეფასება აუცილებლად უნდა დაერთოს კომენტარები — რა მოწონათ ან რა არ მოეწონათ. ასევე მოითხოვეს, მოიხიბნოს ფორმები მათი იდეების გადინებისგან დასაცავად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა იაგორ კალანდაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან ერთობლივი სემინარი სამუშაო ხასიათს ატარებდა. ფონდი ახალგაზრდა და მისი მუშაობა ჯერ კიდევ დახვეწის პროცესშია. „ჩვენ ძალზე კონსტრუქციული ურთიერთობა გვაქვს ამ ორგანიზაციასთან. წინა კონკურსის დასრულებისთანავე გავცანით მეცნიერთა მოსაზრებებს არსებულ პრობლემებზე, შევჯერეთ წინადადებები და ეროვნულ სამეცნიერო ფონდს გავაცანით. მათ გაითვალისწინეს წარდგენილი რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი. მაგალითად, ცალკე სამეცნიერო მიმართულებად გამოიყო საინფორმაციო ტექნოლოგიები და სამედიცინო მეცნიერებები. სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია კონკურსის პირობები და განაცხადის შევსების ფორმები.“

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა სამეცნიერო საზოგადოებას წლევანდელი კონკურსის სიახლეები გააცნო. მან განაცხადა, რომ წელს, პირველად, ცალკე სამეცნიერო მიმართულებად გამოიყო საინფორმაციო ტექნოლოგიები და სამედიცინო მეცნიერებები. სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია კონკურსის პირობები და განაცხადის შევსების ფორმები.

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა სამეცნიერო საზოგადოებას წლევანდელი კონკურსის სიახლეები გააცნო. მან განაცხადა, რომ წელს, პირველად, ცალკე სამეცნიერო მიმართულებად გამოიყო საინფორმაციო ტექნოლოგიები და სამედიცინო მეცნიერებები. სამეცნიერო ფონდის ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია კონკურსის პირობები და განაცხადის შევსების ფორმები.

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

საკონსულტაციო სემინარზე მეცნიერებმა მათთვის საინტერესო კითხვები დასვეს. კერძოდ, დაინტერესდნენ, ექნებათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ პირებს, ვინც გასულ წლებში სამეცნიერო გრანტი უკვე მოიპოვა. ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერებათა სამმართველოს უფროსმა რევაზ ასათიანმა განაცხადა, რომ სამეცნიერო გრანტების მფლობელების კონკურსში მონაწილეობის საკითხი ჯერ დაზუსტებული არ არის. არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც, თუ გრანტი გათვალისწინებული სამუშაოები არ მთავრდება 2009 წლის 1 იანვრამდე, გრანტიორები ახალ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუმცა ჯერ ეს საკითხი განათლებასა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა განაწილოს. იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შეტანის ვადის დაწყებამდე, ანუ მიმდინარე წლის 1 მაისამდე, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, მათ ჩვეულებრივ შექმლბათ საბუთების შეტანა.

უნივერსიტეტს ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი ეწვია

23 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ელჩი ვაჰიდ ელდინ ისმაილ გალალი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი ხუბუას შეხვდა.

ვიზიტის მიზანი იყო თსუ-ისა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, არაბული ენისა და კულტურის შესწავლის ერთობლივი პროგრამების შემუშავებისთვის ნიადაგის მომზადება.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა დაინტერესებულია ინტენსიური კონტაქტები ჰქონდეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებთან და კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. უნდა შეიქმნას პროგრამები, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტში არაბული ენის შესწავლის არეალი გაფართოვდება და დაინტერესებული სტუდენტები არ-

აბულ კულტურას, ეკონომიკას, პოლიტიკას გაეცნობიან.

ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოვა ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის დელეგაცია.

შემდგომი ურთიერთობის გაღრმავების მიზნით, დაგეგმა ქიროს უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა შეხვედრები თბილისსა და ქაიროში.



რატომ ავტონომია?

პირველი გვერდიდან

ავტონომიის შპირატისობა

მთავარი უპირატესობა ის არის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება გეოგრაფიულად უახლოვდება ხალხს და პოლიტიკური ხელისუფლების ანონიმურობის პრობლემას ამცირებს. ავტონომიის ლოგიკური ნაწილია პოლიტიკური პოლიცენტრიზმიც, რომლის ჩამოყალიბების შემთხვევაში ჩნდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისგან განსხვავებული პოლიტიკური ცენტრები.

ავტონომიის უამრავი სახე არსებობს, თუმცა აფხაზეთთან მიმართებაში საუბარია პოლიტიკურ ავტონომიაზე და იგი გამოირჩევა სხვა ეთნიკური ჯგუფების საგარეოდ პრეტენზიებს, რომელიც საქართველოში ინერციით არსებულ ავტონომიებს არ წარმოადგენს.

წინასწარ უნდა მოხდეს იმასთან შეგუება, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მხოლოდ ქართული სინამდვილისთვის დაბაზასიათებელი მოვლენა არ არის. ბევრ სახელმწიფოში, სადაც პრეტენზიები მოსახრების გამო, ამ ტიპის ტერიტორიული ერთეულების არსებობა ქვეყნისთვის არასასურველია, ინერციით არსებულ ავტონომიებს არ ეხებიან.

პოლიტიკური პოლიცენტრიზმი ქვეყნისთვის, ზოგადად, მნიშვნელოვანი საკითხია. გონივრული პოლიტიკის წარმართვის გარეშე, პოლიცენტრიზმი, შესაძლოა, სერიოზული რისკის საფუძველი და კონფლიქტების წყარო გახდეს. გორჯი ხუბუას აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივ რეალობაში მისი პირიქით განხორციელება შეიძლება იმისათვის, რომ პოლიტიკური ცენტრების აკუმულირება მხოლოდ ერთ ცენტრში არ მოხდეს. როდესაც პოლიტიკური ცენტრებისათვის სასიცოცხლო არტალი ვინარობდება, იქ გაცილებით მატულობს, ზოგადად, დესტრუქციის შესაძლებლობაც.

„როცა პოლიტიკა მხოლოდ დედაქალაქში წარმოებს, მაშინ გაცილებით დიდია პოლიტიკური კრიზისებისა და სხვა არასასურველი მოვლენების რისკი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური პროცესი ქვეყნის მასშტაბით თანაბრადაა განაწილებული და პოლიტიკოსების სასიცოცხლო არეალიც ფართოა. ეს საკითხი მნიშვნელოვანია პოლიტიკური კადრების მომზადების თვალსაზრისითაც. ამერიკის ბოლო 13 პრეზიდენტიდან ათი შტატის გუბერნატორი იყო. ეს საუკეთესო მაგალითია იმის წარმოსაჩვენად, რომ არჩევნების მინიმალური მომზადება ელექტორატს უადვილებს — მომავალი ლიდერის შესაძლებლობები შეამოწმოს. პოლიტიკური კულტურის აბალღობის კუთხით ეს ავტონომიის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისასაღებელია, რომ ქართულმა მხარემ დიალოგისთვის მზადყოფნა სწორედ ამგვარი ფორმი დაადასტურა. თავისთავად მეტად მომგებიანია, როცა ქართული მხარე აფხაზებს ავტონომიის კონკრეტულ მოდელს სთავაზობს და იგი საერთაშორისო საზოგადოებაშიც დადებითად შეფასდა. კულტურის უმთავრესი ელემენტი დიალოგია და ასეთ შემთხვევაში აფხაზური მხარის პასუხი „არ მინდა“ არგუმენტს არ წარმოადგენს“, — მიაჩნია რექტორს.

ავტონომია უნიკალურ საშუალებას აძლევს ყოფილ უმცირესობას, გახდეს უმრავლესობა, თუმცა აფხაზეთთან მიმართებაში ეს მოდელი ნამდვილად არ იმუშავებს, რადგან, ავტონომიის სუბიექტი იქნება ტერიტორიული ერთეული და არა მხოლოდ ეთნიკურად აფხაზი ერი. ავტონომიის სუბიექტი უნდა იყოს ტერიტორია, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია. იქ მკვიდრი აფხაზი უმრავლესობა ვერასდროს გახდება.

ავტონომიის მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ ჯგუფი, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე უმცირესობაში იყო, გაცილებით მაღალ პოლიტიკურ ნონას შეიძენს და უმრავლესობა გახდება.

რექტორის აზრით, ამ ასპექტის რეალიზება, რა თქმა უნდა, აფხაზეთში მოხერხდება, მაგრამ აუცილებელია ფიქრი ისეთ ფორმებზე, რომელიც, გარკვეულწილად, აფხაზი ეთნოსის შიშს გაანელებს. საგარეოდ, შეიძლება აფხაზეთის შიგნით შემუშავდეს მოდელი (და ეს ქართული მხარის ინიციატივებშიც გააქვრდა), რომ აფხაზურ მხარეს აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე ვეტოს დადების უფლება მიეცეს.

სუბსიდიარობის პრინციპის რეალიზებისთვის, რომელიც მმართველობითი გადანაცვლებების მიღებისა და განხორციელების ოპტიმალური დონის შერჩევას ითვალისწინებს, ავტონომია აუცილებელი ფორმა არ არის. კლასიკური მიდგომა — რაც შეიძლება გადაწყდეს დაბალ დონეზე, არ უნდა წყდებოდეს უფრო მაღალ დონეზე, მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ავტონომია ყოველთვის აყალიბებს კონფლიქტების მოწინააღმდეგეებს და სახელმწიფოს ლეგიტიმაციის დამატებით საფუძვლებს ქმნის.

ავტონომიის ნებატიური ასპექტები

ავტონომიას, რა თქმა უნდა, ნებატიური ასპექტებიც გააჩნია — აღრმავებს რეგიონალურ დისპარიტეტებს (რაც ყოველთვის არასასურველია ნებისმიერ სახელმწიფოში), ართულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, შეიცავს პოლიტიკური დაქუცმაცების საფრთხეს, ამწვავებს რეგიონული პოლიტიკური ელიტის კონტროლის პრობლემას, დიდი ფული ღირს, ადმინისტრაციულ საზღვრები ხელს უშლის კოორდინირებულ მართვას, აბრკოლებს კოოპერაციულ თანამშრომლობას.

ავტონომიის ფორმის შემოღებით დისპარიტეტების არსებობას არათუ „მწვანე შუქი“ ეძლევა, არამედ ხდება მისი კონსერვაცია, რაც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესის გართულებასთან. ჩვეულებრივ, ეს პროცესი აგებულია კონსერვაციის, მაგრამ იწვევს ორივე მხარის თანაბრად უკმაყოფილებას. არ არსებობს კონსერვაცია, სადაც მხოლოდ ერთი მხარეა კმაყოფილი და მეორე კი, უკმაყოფილო. როგორც ლექციის მსვლელობისას ითქვა, ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური კულტურის თუ უკულტურობის ელემენტი იმაშიც ჩანს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პროცესში საკითხი მუდმივად ასე დგას: ან ყველაფერი — ან არაფერი. ან სულ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, ან სულ უკმაყოფილო.

კონსერვაციის პირობებში ორივე მხარე უნდა შეეგუოს, რომ იგივე სოხუმთან ფორმებშიც, ჩვენი ვიქნებით უკმაყოფილო და არც აფხაზები იქნებიან სულ კმაყოფილი. ამასთან, აშკარაა, რომ კონსერვაციის ორიენტირებულად გადაწყვეტილება ყოველთვის რაციონალური არ არის. ის შეიძლება კონკრეტულ ვითარებაში ანგარიშს უწევდეს სხვადასხვა ფაქტორებს, მაგრამ კონსერვაციის შედეგი ცენტრის პოლიტიკური გადაწყვეტილება და მას ყველაზე ანგარიში უნდა გაუწიოს.

ანგარიშგასანევი პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაქუცმაცების რეალური საფრთხეც, სადაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი, რეგიონალური პოლიტიკური ელიტის კონტროლის პრობლემა. როგორც წესი, რეგიონალური პოლიტიკის საკითხი ცენტრალურთან შედარებით, ყოველთვის გაცილებით უფრო მწვავედ დგას, რადგან ადგილებზე ასეთ ელიტას ყოველთვის მეტი შესაძლებლობა აქვს — გააკონ-

ტროლს ადგილობრივი მედია და სხვადასხვა ფორმები მოიძიოს, რათა თავად კონტროლს გაეცეს.

„თუმცა, რაც დღეს აფხაზეთში გვაქვს, არის არა რეგიონალური ელიტა, არამედ კლასიკური ეთნოკრატია, რომელიც ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესებს იმთავითვე გამოირიცხავს. ავტონომიის შემთხვევაში საუბარიც არ შეიძლება იმ ადგილობრივი ელიტის მახინჯ ფორმებზე, რაც აფხაზეთსა და სხვა სეპარატისტულ რეგიონებში ამჟამად არსებობს.“ — განმარტა გიორგი ხუბუა.

ავტონომია დიდი ფული ღირს, მაგრამ აქაც მუშაობს ლოგიკა: თუ საქართველოს უნდა, განეიტრატოს გაცილებით მწვავე პრობლემა, ურჩევნია, გადაიხადოს უფრო მეტი ფული და ამით მოანესრიგოს ის.

ავტონომიის ადმინისტრაციული საზღვრები აბრკოლებს კოოპერაციულ თანამშრომლობას, ამიტომ ისეთი მოდელი უნდა იქნას მოფიქრებული, რომელიც ეთნიკურ ჯგუფს თვითიზოლაციისაკენ არ უბიძგებს. სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომელიც ნაახალისებს თავისუფალი მუშაბელის გადაადგილებას და არ აიძულებს აფხაზებს, იზოლირებული იყვნენ ქვეყნის სხვა ნაწილებსგან.

ანგარიშგასანევი ის გარემოება, რომ ავტონომია, როგორც უმცირესობის დაცვის მექანიზმი, ამართლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე ეთნიკური ჯგუფი დემოგრაფიულად მკაფიოდ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

რატომ ავტონომია?

ავტონომია „დანაწილებულის გამთლიანების“ და არა „ერთიანის დანაწილების“ საშუალებაა და აფხაზეთთან მიმართებაში ამგვარი თეორია იურიდიულად უნდა აისახოს.

აღნიშნული ინტეგრაციული მუხტი აუცილებლად გასათვალისწინებელია და, ბუნებრივია, არც ერთ შემთხვევაში აქ საუბარი არავითარ სეცესიაზე არ არის, თუნდაც იმ ლოგიკით, რომ ქორწინების დროს განქორწინებაზე არ საუბრობენ.

„სეცესიას, არათუ უნიტარული დეცენტრალიზებული ქვეყნის, ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუციაც გამოირიცხავს. აშშ-ს, მსოფლიოში პირველ ფედერაციულ სახელმწიფოს, ნახევარ მილიონამდე ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა თავისი ტერიტორიული ერთიანობა. ვერავენ იტყვი, რომ საქართველოს აფხაზეთის პრობლემა ავტონომიური სტატუსის გამო დაუდგა, უფრო პირიქით... არ ვიცი, რამდენად გულწრფელები არიან დღეს აფხაზები, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობისას, როცა 90-იან წლებში სოხუმში ცხოვრებამ მომინია, თვითმზილველი ვარ ისეთი აფხაზებისა, რომლებიც საქართველოს ფედერალურად მოწყობის მოდელს მხარს უჭერდნენ. ამ პოზიციას ლიად აფიქსირებდნენ და მათი არგუმენტი იყო — ქართველები და აფხაზები ერთ კულტურული ერები და ისე ვერ ამოვუვლეთ ერთმანეთს, როგორც მთიან ყარაბაღში. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური სიბეცის გამო, ამ განწყობის რეალიზება მაშინ ვერ მოხერხდა, რაც დღეს ვითარებას ძალიან ართულებს.“ — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო თავისთავად იერარქიას გულისხმობს, სოხუმი ცენტრისა და პერიფერიის მოდელად არ უნდა განვიხილოთ (არ შეიძლება თბილისისთვის სოხუმი წარმოადგენდეს ჩხორწყუს ან ლაგოდეხს). გასათვალისწინებელია, რომ ერთი ავტონომია არ უნდა იყოს აღქმული ასე — მე მივიღებ რაღაც უფლებებს მას შემდეგ, რაც დავინყებ ბრძოლას ამ უფლებების მოსაპოვებლად.

თუკი ხელისუფლება სახელმწიფოში, ზოგადად, ასეთ განწყობას შექმნის, ეს ნიშნავს, რომ ნებისმი-



ერ ტერიტორიულ ერთეულს პერმანენტულად გაუჩნდება მისწრაფება, იბრძოდეს ამ უფლებებისთვის. უკეთესია, ცენტრში რეგიონის მისცეს გარკვეული უფლებები, მაგრამ არა იმ განწყობით, რომ ამას დებულობს იმიტომ, რომ იბრძვის. ამასთან, თუ საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობა იტყვის, რომ მასაც სურს ავტონომია, არსებობს სერიოზული არგუმენტი საიმიხედ, რომ აფხაზი არის არა ეროვნული, არამედ ეთნიკური ჯგუფი, რომელიც არამარტო უმცირესობაა ერთ სახელმწიფოში, არამედ, თუ ეთნიკური ჯგუფებისგან განსხვავებით, არსად არ ქმნის უმრავლესობას (განსხვავებით სომხებისა და აზერბაიჯანელებისგან, რომლებიც, მართალია, საქართველოში უმცირესობაში არიან, მაგრამ სხვაგან უმრავლესობაში არიან). სწორედ ამიტომ, როდესაც თბილისი სოხუმს ავტონომიას სთავაზობს, სხვა ეთნიკურ უმცირესობას ავტონომიის მოთხოვნის სურვილი არ უნდა გაუჩნდეს.

ავტონომიის პირობებში ე.წ. პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემა, რომელიც ეთნიკური აფხაზებისადმი განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებას გულისხმობს, წინააღმდეგობრივი ცნებაა და მისასაღებელი არ არის. მთავარია, იგი კონკრეტულ სიტუაციაში მოქმედებს ისეთი მოდელი იყოს, რომლის სიკეთეზეც მხარეები შეთანხმდებიან. ამ ფორმას ზოგადად „მზიან ღამეს“ უწოდებენ და მისი ავტონომიის უფრო მეტი განხორციელების შესახებ საუბარს აკრძალავს.

ავტონომიის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გეოგრაფიული სიდიდე და არა ეთნიკური, ან სხვა ხალხის ჯგუფი. როცა სუბიექტი ეთნიკური ჯგუფია, მაშინ მისი ავტონომია ენობრივ, პერსონალურ და ა.შ. ფარგლებს არ სცილდება. აფხაზეთისთვის საქართველოს ხელისუფლების შეთავაზება პოლიტიკური ავტონომიის სტატუსია, რომლის სუბიექტი შეიძლება იყოს ტერიტორია და მასზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფი.

პარადოქსია, რომ ავტონომიაზე საუბრისას გაჩენილი პირველი ასოციაცია დეცენტრალიზაციას უკავშირდება. რეალურად კი გულისხმობს, რომ უფლებამოსილებათა განაწილება თბილისსა და სოხუმს შორის უნდა წავიდეს არა დეცენტრალიზაციის, არამედ ცენტრალიზაციის მიმართულებით, რადგან ბევრი ის უფლებამოსილება, რაც დღევანდელი სოხუმი აქვს მითვისებული, მარტივად რომ ვთქვათ, თბილისის გამგებლობაში უნდა გადავიდეს და ეს ლოგიკურია. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, აფხაზი დასავამს კითხვას, თუ რას მიიღებს ის ამ უფლებების ჩამორთმევის სანაცვლოდ. მოსალოდნელ შეკითხვებს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალურ ხელისუფლებაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შეთავაზების სახით პასუხი უკვე გასცა — რასაც ეთნოკრატია თუ რეგიონ-

ალური ელიტა დაკარგავს შინაარსობრივად, მას აფხაზი სივრცობრივად მოიგებს. აფხაზურ მხარეს ჩამოსართმევი უფლებების საკომპენსაციოდ, ფაქტობრივად, სასიცოცხლო მასშტაბების გაფართობის საშუალება ეძლევა და გიორგი ხუბუას ვარაუდით, ეს მათთვის უინტერესო ნამდვილად არ უნდა იყოს. მისი თქმით, მართალია, აფხაზეთი პოზიტიურად, მაგრამ ყველა პრემიატული თვალსაზრისით, რაც დღეს სოხუმს შეუძლია მიიღოს, არსებული უფლებამოსილებების ფარგლებში იგივეს ვერასოდეს მიიღებს. ამჟამად, ძალთა ბალანსი, სამწუხაროდ, გადახრილია, რაც ცენტრალურ ხელისუფლებას დათმობას აიძულებს, მაგრამ ეს ბალანსი მომავალში, ყველა შემთხვევაში, სოხუმის საზიანოდ შეიცვლება.

„არა მგონია, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას არ ესმოდეს, რომ თუ ის წარმოადგენს სუბიექტს, დღეს რაღაც წაართვან თბილისს, შესაძლოა, ხვალ-ზეგ ეს შეუძლებელი გახდეს. თუ სოხუმს ნამდვილად სურს, დაიკანონოს, სამართლებრივი უფლებები გარანტირებულად მიიღოს, რათა მუდმივი შიშის ქვეშ არ განაგრძოს ცხოვრება, ჯობია, იფიქროს ახლა, რადგან ავტონომია ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მსგავსი უნივერსალური კატეგორია არ არის. აქ ყველაფერი კონიუნქტურაზეა დამოკიდებული და სახავს ბალანსს ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ძალებს შორის.“ — აღნიშნა ლექციანზე.

ბოლო მნიშვნელოვანი მომენტი სახელმწიფო საქმეების მართვაში ავტონომიის მონაწილეობაა. ამ შემთხვევაში, წინადა ფსიქოლოგიური მიდგომით, აფხაზი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას, „თავისი ბუდის“ არა სოხუმში მოსაწყობად, არამედ ქართული სახელმწიფოს მართვაზე და ეს ფაქტორი სიმბოლური სულაც არ არის. ეთნიკურად აფხაზი ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს ორპალატიანი პარლამენტის პირობებში, შესაძლებელია, ზოგიერთი სხვა ქვეყნის მსგავსად, სენატის თავმჯდომარედ დაინიშნოს. ხელისუფლების საქმიანობაში სიმბოლური მონაწილეობაც კი გულისხმობს, რომ ის ფიზიკურად თბილისშია და სახელმწიფოს მართვასთან ერთად მონაწილეობს ქვეყნის საერთო ფინანსების განაწილებაში, საგარეო ურთიერთობებში, ეკონომიკურ პროცესებში და ა.შ.

საუნივერსიტეტო სივრცეში საერთო ლექციის თემატიკა სანიტერული დისკუსიის საფუძველზე უკვე გახდა. რექტორის მიერ შეთავაზებული ფორმატის ფარგლებში აფხაზეთის საკითხის გარშემო მრავალი მოსაზრება და წინადადება გამოთქვას ნოდარ ნათაძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, ლევან ალექსიძემ, ზურაბ პაპასკირმა, პაატა კოლაშვილმა... ამ თემის ირგვლივ დისკუსია მომავალშიც გაგრძელდება.

ქართველებს ქვევის წესი და ეთიკა არავისგან გვესწავლება

წინასწარჩვენი კამბანია ძალას იკრებს... მიუხედავად იმისა, რომ სასტუმრო „ქორთიად მარიოტში“ აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ქვევის კოდექსს ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მოაწერა ხელი, ოპოზიცია მაინც ავობს და ხელისუფლებას გვარიანად ლანძღავს. ოპოზიციამ ერთიანობის შენარჩუნება ვერ შეძლო, ამიტომ დაპირისპირების რადიკალურ ხეხრს მიმართა. ყველა ცდილობს – განმასხვავებელი ნიშა მოძებნოს, რათა ამომრჩევლისთვის გასაგები გახდეს – რატომ დაუჭიროს მხარი კონკრეტულად ამა თუ იმ პარტიას. როგორც აღმოჩნდა ჩრდილოვანი კაბინეტი სრულფასოვნად დაკომპლექტებული ჯერ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ აქვს. წინასწარჩვენი პროგრამების პრეზენტაციით ნაკლებად თუ იხილება საზოგადოება, რომელიც ოპოზიციის დაქსაქსვამ, ცოტა არ იყოს, დააბნია და ვერც დიდ განსხვავებას ხედავს პარტიათა იდეოლოგიაში. ამომრჩევლებს ახლა არჩევანი რამდენიმე ოპოზიციურ ძალასა და ხელისუფლებას შორის აქვს გასაკეთებელი. ამიტომ რთულია პროგნოზირება, ვინ მოხვდება პარლამენტში და რა უპირატესობით? ამ თემებზე თსუ-ის პროფესორი, ექსპერტი ბიკა ჟორჯიანი გვესაუბრება:

ბიკა ჟორჯიანი

— ბატონო გია, საინტერესოა თქვენი მოსაზრება პოლიტიკურ პარტიათა წინასწარჩვენი სტრატეგიასთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, სჯობდა თუ არა ოპოზიციის ერთიანი ბლოკი შეექმნა, რათა ამომრჩევლებს უფრო გააადვილებოდა არჩევანის გაკეთება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, თუ თვლით, რომ ყველამ თავისი იდეოლოგია უნდა წარმოაჩინოს და დამოუკიდებლად იბრძოლოს არჩევნებში გასამარჯვებლად, როგორც ეს რესპუბლიკელებმა და ლიბერლისტებმა გააკეთეს?

— პოლიტიკური ვითარება, რაც დღეს ჩამოყალიბდა, გარკვეულწილად კონკრეტული რეალობის ადეკვატურია. თეორიულად შეიძლება ორივე ვარიანტი მისაღები იყოს. მაგალითად, აშშ-ში, ინგლისში და სხვაგან ოპორტიუნული სისტემებია და ამომრჩევლისთვის მხოლოდ ორი ალტერნატივა არსებობს. არის ისეთი სიტუაცია, სადაც მრავალი პარტია იღებს არჩევნებში მონაწილეობას და, ამ თვალსაზრისით, დანაწევრებული პოლიტიკური სექტორი. დემოკრატიული ვითარებისთვის თეორიულად ორივე ვარიანტი მისაღებია, მაგრამ ჩვენს რეალობაში, მგონია, რომ ამომრჩევლისთვის მდგომარეობას ორი ალტერნატივის წარმოჩენა უფრო გააადვილებდა. ანუ გამოიკვეთებოდა, უჭერს თუ არა მოსახლეობა მხარს იმ რეჟიმს, იმ წესრიგს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს. პოლიტიკური სექტორის დანაწევრება საზოგადოებაში ინვესტარკვეულ ეჭვებს, ნიჰილიზმს...

მაშინ, როდესაც ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც ოპოზიციამაა, აცხადებს, რომ მისთვის მთავარი საკითხია რეჟიმისა და არსებული წესრიგის მიუღებლობა, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობისთვის, ნაწილისთვის მაინც, გაუგებარი შეიძლება იყოს მათი დაყოფა. თუ მათი მთავარი მიზანი არის ამ სისტემის შეცვლა, მაშინ რა საჭიროა ეს დაყოფა? რომელი პოლიტიკა უნდა ავირჩიოთ? — ეს კითხვები უკვე გაჩნდა და ეს ლოგიკურია. ზოგი თვლის, რომ თუ ჩვენ არ შევარჩივთ პროგრამები, არ განვასხვავებთ ერთმანეთისგან წინასწარჩვენი დაპირებები, მაშინ ეს დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია. ჩემი აზრით, ეს არასწორია, რადგან ასეთ შემთხვევაში პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები უნდა იყოს გამოკვეთილი, რეპრეზენტატიული...

დღეს ბევრი პოლიტიკური პარტიის პროგრამა ერთმანეთს რომ შეადაროთ, თუნდაც ეს იყოს ხელისუფლების თუ სხვა ოპოზიციური პარტიებისა, მათში შეიძლება ძალიან ბევრი საერთო აღმოაჩინოთ, თუმცა განსხვავებებსაც ნახავთ. არსებითი და მთავარი განმასხვავებელი — ეს არის სტილი იმ პოლიტიკისა, რომელსაც მისდევს ხელისუფლება. საქართველოს ხელისუფლებას არც ერთ პროგრამაში არ უწერია, რომ სასამართლო არ უნდა იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ მისი განაცხადი, რომ სასამართლო, დაახლოებით უნდა იყოს — არის მხოლოდ დეკლარაცია. სინამდვილეში ეს არ სრულდება და ამას ყოველდღიურად გაიძახის ოპოზიცია. ამდენად, წინასწარჩვენი კამპანია მხოლოდ პროგრამებისა და სიტყვების შეჯიბრია არ შეიძლება იყოს. თუ არსებული პოლიტიკა მიუღებელია ჩვენთვის, მაშინ ჩვენ ყველანი ამის მონიშნავდებოდეთ უნდა ვიყოთ. ჩემი აზრით, არჩევანის გასაკეთებლად სჯობდა, ოპოზიციამ გაერთიანებულიყო ლერძული საკითხების ირგვლივ.

— სასურველია თუ არა პოლიტიკური სექტორის დაყოფა მემარცხენე და მემარ-

ჯვენე ორიენტაციის პარტიებად, რათა ჩვენთვისაც ნათელი გახდეს თითოეული პარტიის იდეოლოგია არჩევნების წინ?

— მემარჯვენე-მემარცხენე დაყოფა, როგორც ეს თქვენ ბრძანებთ, პირობითია. ასეთი დაყოფა არსებობდა ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში, ძირითადად ევროპის ქვეყნებში, მაგრამ იგი არც შეიძლება შევადაროთ ჩვენთან არსებულ სიტუაციას. ეს არის თვითონ მოსახლეობის დაყოფა შეხედულებების მიხედვით: ყველა მუშა ხმას აძლევდა ლიბერლისტებს, მაგალითად, ინგლისში, სოციალისტებს — საფრანგეთში, სოციალ-დემოკრატებს — გერმანიაში... ინტელიგენციაც მემარცხენეებზეა ორიენტირებული, ხოლო ბიზნესში ჩაბმული მოსახლეობა და კონსერვატიულად განწყობილი საზოგადოება უფრო მეტად მემარჯვენეებზე იყო ორიენტირებული... ჩვენთან ასე ნამდვილად არ არის. საზოგადოებას არ აქვს გაცნობიერებული — გინდა თუ არა ამას უნდა მივცე ხმაო. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ხალხს კულტურა არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ მემარცხენეებზე და მემარჯვენეებზე დაყოფა ჩვენთან ისე არ ხდება, როგორც ეს ევროპულ ქვეყნებშია. უნდა ითქვას, რომ ეს ტრადიციული დაყოფები, გარკვეული თვალსაზრისით, ევროპაშიც კი განიცდის კრიზისს, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც საქართველოში.

ევროპაში მე-20 საუკუნეში არც ერთი მუშა არ უყურებდა იმას, როგორი ლიდერი ჰყავდა ლიბერალისტულ პარტიას. იგი ყველა შემთხვევაში ლიბერლისტებს აძლევდა ხმას. საქართველოში კი ხალხი პარტიის ლიდერებს უყურებს და ამის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას.

საბრეზიდენტო არჩევნების დროს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კანდიდატი იყო, ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს კანდიდატები, გარდა მიხეილ სააკაშვილისა, უპირისპირდებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, არსებულ სისტემას. საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაშიც მოსახლეობა იმას უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, რომ ყველა მათგანი ამ რეჟიმის წინააღმდეგ გამოდეს და არ აინტერესებს რა განსხვავებაა, მაგალითად, ლიბერლისტებსა და რესპუბლიკელებს შორის.

— რამდენიმე წნის წინ ქვევის კოდექსს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია წარმოამდგენელმა მოაწერა ხელი. რამდენად აუცილებელია, წინასწარჩვენი კამპანიისას ყველა მათგანმა დაიცვას ეს წესები? ასეთ შემთხვევაში, რადიკალური პოზიციების დაფიქსირება რამდენად რთული იქნება?

— მე ძალიან კრიტიკულად ვარ განწყობილი ქვევის კოდექსის და იმ წესის მიმართ, რასაც ხელი მოუწერა. ჩემი აზრით, ეს ძალიან შეურაცხყოფელია ქართული პოლიტიკური სექტორისთვის, რომელსაც ერთი ამერიკული ინსტიტუტი ეუბნება, რომ აი, თქვენ ამას უნდა მოაწეროთ ხელი... ე.ი. თქვენ ხართ ველურები და მე გასწავლით, როგორ მოიქცეთ! ქართველებმა შეიძლება ყველაფერი არ ვიცოდეთ, მაგრამ ქვევის წესი და ეთიკა არავისგან გვესწავლება. იმ რადიკალურ დაპირისპირებებს, რაც ჩვენს პოლიტიკაში ხდება, ცხადია, არც ერთ ქვევის კოდექსზე ხელის მოწერა არ უშველის. ნოემბრის მოვლენებსა და ოპოზიციონერთა დადანიშნულებას რუსეთის აგენტობაში, რა თქმა უნდა, მოჰყვებოდა ოპოზიციის რადიკალური შეფასებები და პასუხები. ასე რომ, როგორი პოლიტიკაცაა, პოლიტიკოსთა ქცევაც და ბრძოლის ხერხიც შესაბამისია. პოლიტიკა არ არის, ვთქვათ, კეთილშობილ ქალთა პანსიონი, სადაც ქვევის წესებს



ასწავლიან. პოლიტიკა არის ბრძოლა და ამ ბრძოლაში მთავარია ესა თუ ის ჯგუფი რა პრინციპებს ეყრდნობა საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის.

ჩვენს პოლიტიკურ სექტორს რომ გადავხედოთ, ერთი ორი წლის წინ ზოგი ერთმანეთის მონიშნავდებდნენ იყო, ზოგი კი დღეს აკრიტიკებს იმას, ვისაც რამდენიმე ხნის წინ მხარს უჭერდა. მაგალითად, ის, რაც განათლების სფეროში ორი წლის წინ მიღწევად ითვლებოდა, დღეს გაკრიტიკებულია თვით პრეზიდენტის მხრიდან, თითქოს ეს სხვამ გააკეთა და არა ამ ხელისუფლების წარმომადგენელმა.

ასე რომ, ეს რაღაც ქვევის წესები, ჩემი აზრით, თამაშობს რიტუალურ როლს, რომელიც სინამდვილეში კავშირში არ არის პოლიტიკური ბრძოლის მომავალ პერსპექტივასთან.

— მაგრამ დებატების ნაცვლად ქართველი პოლიტიკოსები ხშირად უშვერილ სიტყვებით ილაწვებიან ხოლმე. ამ შემთხვევაში არ უნდა შევასხვინოთ მათ, რომ საჭიროა ეთიკის დაცვა? მაგალითად ლიბერლისტთა ლიდერი შეტევაზე ლანძღვით გადაიხდის...

— დაგეთანხმებით, რომ უშვერილი და არაეთიკური გამონათქვამები ქართულ პოლიტიკაში ბლომადაა, მაგრამ ვერ ვიტყვი იმას, რომ ოპოზიციის მხრიდან ეს უფრო ხშირად ხდება. თუმცა ეს იმის ბრალი როდია, რომ რომელიმეს ამ ქვევის კოდექსზე ადრე ხელი მოწერილი არ ჰქონდა. უნდა გავიგოთ, რომ ეს ჩვენი რეალობაა, რაც უფრო პოპულისტურია. პროგრამული და ინსტიტუციონალური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას არსებული სისტემა ზღუდავს. აქედან იწყება რადიკალური დაპირისპირება, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, სწორედ ამის გამო იღებს დისკუსია ასეთ მწვავე ფორმებს. რასაც თქვენ მეუბნებით, იმას ჰგავს, ბავშვებს რომ ეუბნებინან: მოდი, რა, ცუდი სიტყვები არ ვთქვავთ და კარგი სიტყვები ვთქვათ.

ჩემთვის, როგორც ამომრჩევლისთვის, არსებითია — შეიცვალოს არსებული პოლიტიკა — ეს არის ყველაზე მთავარი. თუ ჩვენთვის ეს მეორეხარისხოვანია და პრიორიტეტად მიგვაჩნია — ავირჩიოთ ის ადამიანი, რომელიც ზრდილობიანად ლაპარაკობს ან განათლებულია, მაშინ ამ პოლიტიკოსებიდან არც ერთი პოლიტიკაში არ უნდა იყოს. საქართველოში რამდენიმე გენგავით, იმდენად ზრდილობიანი და განათლებული ადამიანი... საქმე სხვა რამეშია — პოლიტიკურ ბრძოლაში დასაშვებია ყველა ის მეთოდი, რომელიც გამარჯვებას მოგვტანს და ეს პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იციან.

— ინგა გრიგოლის გადაცემაში პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ეძლევათ

ხოლმე მანსი — წარმოაჩინოთ თვიანტი ჩრდილოვანი კაბინეტი და სამოქმედო პროგრამა. ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ მათი კადრები ამ ხელისუფლების სერიოზულ ალტერნატივას არ წარმოადგენს და სამოქმედო გეგმებიც დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან?

— კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეს არის რაღაც მოჩვენება და ტყუილი, ვინც ამ პროგრამებზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ მე უფრო ლამაზი პროგრამა მაქვს. ამას არანაირი კავშირი არ აქვს იმასთან — სინამდვილეში, ესა თუ ის პარტია რა პოლიტიკას განახორციელებს. ხომ გითხარით, აბსოლუტურად ერთი და იგივე უწერიათ სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ნაციონალურ მოძრაობასაც და ყველა ოპოზიციურ პარტიას თავის პროგრამაში... ამ შემთხვევაში ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს — ვის უფრო მეტად ენდობა, ვინ უფრო მეტად შეძლებს იმის განხორციელებას, რასაც ამბობს. პროგრამების შეჯიბრი არის ხალხის კიდევ ერთი მოტყუება. მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხალხის დასაქმება გახდა ხელისუფლების პრიორიტეტი. ოთხი წლის განმავლობაში რატომ არ იყო ეს დასაქმება ან სიღარიბის დაძლევა პრიორიტეტები? უკვე ნათელია, რომ ჩვენი პროგრამები მიბმული არ არის რომელიმე სოციალურ ჯგუფებთან, ანუ არ კეთდება ის, რაც ხალხს რეალურად უნდა.

გერმანიის კონსტიტუციაში წერია, რომ პარტია არის ხალხის ინტერესების გამომხატველი ორგანიზაცია, საქართველოში პარტიები კი პოლიტიკური ძალაუფლებისთვის მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაციებია. რა თქმა უნდა, ძალაუფლებისთვის ვერმანიაშიც იბრძვიან, მაგრამ ჩვენი პარტიების ხალხთან კავშირი ძალიან სუსტია.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ლიდერის შეცვლით არაფერი მოუვა, ჩვენთან ლიდერი რომ შეიცვალოს, პარტია დაიშლება. უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენს რეალობაში პროგრამებს გადაამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვთ. ყველაფერი მხოლოდ პიარია. რაც შეეხება ოპოზიციის რესურსს, შეიძლება ამ ეტაპისთვის მათ არ ჰყავდეთ კადრები, მაგრამ მათი მოწვევა სხვადასხვა წრეებიდან შესაძლებელია. სახელისუფლო ფუნქციების განხორციელებისთვის ასეთ ადამიანებს ოპოზიცია თავისუფლად მოძებნის. ხელისუფლებაც ხომ ხშირად იქცევა ასე... ხელისუფლება დღეს ცდილობს, თავისი პოლიტიკური ფიგურები უკანა პლანზე გადაიყვანოს და წინ წამოინოს ახალი ხალხი, მაგრამ რამდენად შეცვლის ეს ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, ამას ჩვენ მერე დავინახავთ.

თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონის ფოთში ბაზნა მსოფლიო ბიზნესთან ინტეგრირების საუკეთესო წინაპირობაა

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა გაიხსნა. ეს საქართველოს მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირების კერძოდ გადამღებული პირველი სერიოზული ნაბიჯია, რომელსაც, ეკონომისტების მტკიცებით, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი და შეუქცევადი განვითარება უნდა მოჰყვებოდეს.

რა არის თავისუფალი ეკონომიკური ზონა? ეკონომიკური ექსპერტის, პროფესორ ემზარ ჯგერენიას სახელმძღვანელოში — „საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები“ მითითებულია, რომ „ეს არის მენარმეობისა და გადასახადების შეღავათიანი რეჟიმის ადგილი“, რომელიც სამ მთავარ პრინციპს ეყრდნობა: 1. თავისუფალი საბაჟო სანარმოო ზონა, საიდანაც საქონელი თავისუფლად გადის როგორც ექსპორტზე, ისე შიდა ბაზარზე (შენახვის, ნარმოების და რეალიზაციის თავისუფლების პრინციპი); 2. რეპატრიაცია, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში. ამ პრინციპის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მიზანია ამ ზონაში მოგების მიღება. მიმღებ ინვესტორს უნდა ჰქონდეს მოგების ქვეყნიდან თავისუფლად გატანის შესაძლებლობა. თავის მხრივ, ეს პრინციპი ვალუტის თავისუფალ კონვერტირებადობას და შეუზღუდავ მიმოქცევას მოითხოვს; 3. საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათები, ანუ ე.წ. „საგადასახადო ოაზისი“, რომელიც დღგ-სგან გათავისუფლებას და სხვა შეღავათების მინიჭებას გულისხმობს.

არსებობს სამი ტიპის სპეციალური ზონა: საფინანსო ზონა (იგივე „ოფშორული“), სავაჭრო ზონა და ე.წ. ტექნო-პარკები. ყველა მათგანი მსოფლიოში გავრცელებული სახეობებია და დიდ ეკონომიკურ მოგებას იძლევიან.

მაია ტორაძე

საქართველომ არჩევანი გააკეთა მეორე ტიპის სპეციალურ ზონაზე — ფოთში შეიქმნა თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა. მისი მიზანია ინვესტიციების და ტექნოლოგიების მოზიდვა, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა, საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება, ქვეყნის სავალუტო და სხვა სახის შემოსავლის ზრდა, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება, შრომითი რესურსების დასაქმების უზრუნველყოფა და ხელშეწყობი პირობების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.



ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნით საქართველოს ხელისუფლებამ მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა ფოთის პორტის ინვესტორს RAK Investments Authority-ს, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანოს. ფოთი ისტორიულად სტრატეგიული ობიექტია. ის მდებარეობს შავი ზღვის აუზში და ტვირთბრუნვის რაოდენობით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამასთან ერთად, ფოთი ერთერთი მთავარი პორტია შავი ზღვის კორიდორში, არის კავკასიის სატრანსპორტო-ტრანზიტული ქსელის ნაწილი და ემსახურება ყველა სახის ტვირთბრუნვას.

ბრენდებს, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, უნდა ანარმოს პიარ კამპანია და მოიზიდოს უცხოური მსხვილი ბრენდები, რომლებიც მსოფლიო ბაზრის სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მუშაობენ. როგორღაც უნდა გავცდეთ ლოკალურ აზროვნებას, რომ თავისუფალი ზონაში ჩამოყვასთან ლიმონათს და ჩხორწყურში გავასაღებთ. ფოთის თავისუფალი ზონის შექმნით ჩვენ პრეტენზია განვაცხადეთ მსოფლიო ბაზართან ინტეგრირებაზე, რისთვისაც საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და საინვესტიციო და საფინანსო ჯგუფებისთვის ხელშეწყობა ერთერთი აუცილებელი მოთხოვნაა. RAK Investments Authority-მა სერიოზული ბაზა უნდა შექმნას იმისათვის, რომ შემოსულ ინვესტორებს და ბიზნესმენებს თავი მოაწონოს. საჭიროა მუშაობა საფინანსო-სავაჭრო-სამრეწველო მიმართულებით იმიტომ, რომ გაიზარდოს ტვირთბრუნვა, იყოს მოთხოვნა საწვობებზე, ქარხნებზე, გადაამუშავებით-შემფუთველ სანარმოებზე და ა.შ.

პროფესორ ემზარ ჯგერენიას აზრით, თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონის ფოთში გახსნა მსოფლიო ბიზნესთან ინტეგრირების საუკეთესო ნინაპირობაა და მას დიდი წარმატებები ელის, თუ ხელისუფლება და ინვესტორი ამისთვის ერთობლივად იზრუნებენ.

ფოთის ინვესტორმა, RAK Investments Authority-მა ხელისუფლებასთან უნდა დადოს სერიოზული ხელშეკრულება, რომელიც მას გარანტიას მისცემს, რომ იქ ბიზნესი ბიუროკრატიისგან სრულიად თავისუფალი იქნება. ფოთის თავისუფალი ზონის განვითარებას რამდენიმე ნინაპირობა უნდა უწყობდეს ხელს. პირველი — აქ ბიზნესი ICC-ს (საერთაშორისო სავაჭრო პალატის) კანონმდებლობის მიხედვით უნდა იმართებოდეს, რაც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის მოწყობასაც. რატომ ვუსვამთ ხაზს ინფრასტრუქტურას და ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის მართვის ხელშეკრულებას? იმიტომ, რომ, თუ არ იქნება სრული ინფრასტრუქტურული ხელშეწყობა, ფრენის, წყლის, გზის, რკინიგზის, სამოძრაო ლიანდაგების და საბოცმანო და სხვა სამსახურების სახით, ძალიან გაჭირდება ფოთის პორტის განვითარება და ამ ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის მოწყობა.

მეორე — ფოთი ძალიან რთული ინფრასტრუქტურული ერთეულია. ამიტომ გამანადრებელ და მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოებთან, საზღვაო, კავშირგაბმულობის, ეროვნული ბანკის თუ ფინანსურ-მაკროეკონომიკურ ორგანოებთან ურთიერთობა გადავიღებოდა უნდა იყოს. საქმის კარგი დასაწყისი აქედან ითვლება. ლენტის გაჭრა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ სერიოზულ საინვესტიციო სამუშაოს არ ჩავატარებთ. ჩვენ უნდა დავაჯეროთ მსოფლიოს ცნობილი ბრენდები, რომლებიც დუბაიში, ჰონგკონგში თუ სინგაპურში მუშაობენ, რომ საქართველო არის უსაფრთხო, ნამდვილად თავისუფალი, არაბიუროკრატიული, არაკორუმპირებული და თავისუფალი ბიზნესის ქვეყანა, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას. ეს არის მნიშვნელოვანი ნინაპირობა, რომელიც გათვლილი უნდა იყოს ხანგრძლივ პერიოდზე და არა 2-3 ნელზე ან პიარის ეფექტებზე.

ამასთანავე, RAK Investments Authority-მა უნდა მოახდინოს სერიოზული მოდერნიზაცია. მან სამუშაო სიტუაცია უნდა მოუმზადოს იმ

ეკონომიკური ზონაა. მათ შორის მხოლოდ 3 პროცენტია წარმატებული და ამ წარმატების გარანტი ის ცნობილი ბრენდები არიან, რომლებიც ამ ზონებში მოღვაწეობენ. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ეკონომიკის ამგვარი მოწყობა ჯერ უცხო ხილია, თუმცა ცნობილია სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომლის მიხედვითაც უნდა ვიმოქმედოთ. მაგალითად, პოლონეთი, სადაც 14 ასეთი ზონა მოქმედებს, ეკონომიკის აყვავების ხანაშია და ეს სწორედ თავისუფალი ეკონომიკური ზონების „დამსახურებაა“.

მოუხედავად ამისა, საქართველოში თავისუფალი ზონების გახსნის მონაწილეებიც არიან. მათი მტკიცებით, ამ ზონების არსებობა ხელს უშლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკას და ქვეყნის ევროკავშირში განეწინაურება.

საქართველო ისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ, რომელიც, უპირველესად, ეკონომიკური გაერთიანება და მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და ეკონომიკურ ძლიერებას. ექსპერტთა აზრით, თუკი პოლონეთმა შეძლო თავისუფალი ეკონომიკური ზონების ამოქმედებით ცხოვრების დონის ამაღლება და ევროკავშირის წევრიც გახდა, შესაძლებელია საქართველომაც იგივე გაიმეოროს, ოღონდ, გარკვეული პირობებით.

„ევროპის სამეზობლო პოლიტიკისთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ბევრს არაფერს ნიშნავს. ის პირველ რიგში დოკუმენტების სტანდარტიზაციის, სურსათის უვნებლობის, ვაჭრობის, შრომის დაცვის, შრომის კოდექსის და სხვა კანონების ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოებას მოითხოვს. ევროპის კანონმდებლობა რთულია და ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ძალიან ძნელია მას ბოლომდე შეეგუოს. გვაქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც განვიხილავთ და საქართველო ბევრ რამეს აკეთებს ევროპასთან დასახლოებლად, მაგრამ, ჩემი აზრით, საქართველო ყველა პოლიტიკურ გაერთიანებაში, მათ შორის, ნატოშიც მალე შევა, მაგრამ ევროკავშირში შევა, მაგრამ ევროპის კანონმდებლობის მოხდენის თვალსაზრისით, სერიოზული მოთხოვნები და კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი და ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზებითაც კი, ეს 10-15 წლის შემდეგ შეიძლება მოხდეს. მთავარი აქ სხვა რამეა — ევროკავშირში განეწინაურების პროცესი არანაირ ნინაპირობებში არ არის თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობასთან. პოლონეთი ევროკავშირის წევრია და საკმაოდ სერიოზული თავისუფალი ზონები აქვს. მათ შორის ერთ-ერთი შარშან გაიხსნა გდანსკში. ბევრი მითქმა-მოთქმა არის ამასთან დაკავშირებით — კარგია, ცუდია და ა.შ მაგრამ თუ პოლონე-

თი დღეს ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ბიუჯეტის დეფიციტის, ინფლაციის, საექსპორტო წარმოების ზრდის, სავალუტო კურსის მხრივ, იმის დამსახურებაა, რომ სწორედ ამ 14-მა თავისუფალმა ზონამ წამოსწია მისი ეკონომიკა. პოლონეთმა ამ გზით საექსპორტო წარმოება გააძლიერა და დასაქმების პრობლემა გადაწყვიტა. თქვენ შეგიძლიათ შეისწავლოთ პოლონეთის მაგალითი და თავისუფალი ზონის გახსნის მონაწილეებებს დაანახოთ, რა ხდება ამ ქვეყანაში. ევროკავშირი თავისუფალ ზონას საკმაოდ საქმიანად უყურებს და ასე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც“, — აცხადებს ემზარ ჯგერენია.

ცხადია, ასეთი მაგალითის არსებობის პირობებში მტკიცა შანსი, დაიჯერო და სხვაც დააჯერო, რომ ფოთის თავისუფალი ზონა საქართველოს ეკონომიკური აყვავების ერთერთი ნინაპირობა გახდება, მაგრამ არსებობს ნინაპირობები, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ყველა ეტაპზე იჩენდა თავს — კორუფცია, ბიუროკრატია და ძლიერი ადმინისტრირება ხელისუფლების მხრიდან.

პროფესორ ემზარ ჯგერენია ამ ნინაპირობებს ხედავს და მიჩნია, რომ თუ RAK Investments Authority არ აღმოჩნდება მაღალი დონის ოპერატორი ფორმა, ისეთი, როგორც არის „ჯაფსა“ დუბაიში, თუ იგი ვერ შეძლებს, მოიზიდოს მსხვილი ინვესტორები და ფირმები ან სახელმწიფო ზედმეტად ჩაერევა ბიზნესში, ფოთში თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა არ განვითარდება.

„ვნახოთ, რამდენად ეფექტური იქნება მუშაობა და რამდენად თავისუფალი იქნება ხელისუფლების მიდგომა ამ საკითხისადმი. ჩვენ უნდა შევძლოთ დასავლურ ბიზნესთან სწრაფი ინტეგრირება. ეს სჭირდება არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ განათლებას, კულტურას, ხელოვნებას და ყველა იმ მიმართულებას, რომელიც ბიზნესისგან ხელშეწყობას და ნახალისებას ითხოვს. როგორ შეიძლება ბიზნესი და იურისპრუდენცია ასწავლოთ კარგად, თუ არ იქნება განვითარებული ბიზნესპროდუქტები და არ იარსებებს კადრებზე მოთხოვნა? თუ საქართველო არ იქნება სრულად ინტეგრირებული მსოფლიო ბაზარზე, როგორ უნდა მოვუაროთ კულტურას და გადავურჩინოთ გლობალიზაციის პროცესს? საქართველოში უნდა გაჩნდეს საშუალო ქართველი თავისი მოთხოვნებით. ნინაპირობა შეიძლება მოხდეს, სხვა მიმართულებების განვითარებაზე ლაპარაკიც არ იქნება. ჩვენ სერიოზული გარღვევა გვჭირდება მსოფლიო ბაზარზე და ეს არის ნომერ პირველი ამოცანა“, — განაცხადა ემზარ ჯგერენიამ.



სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში არჩევნებში 5 სტუდენტური მოძრაობა და 37 დამოუკიდებელი კანდიდატი იღებს მონაწილეობას

8 მაისს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები მაქორითარული სისტემით ჩატარდება. 29 აპრილს ამოიწურა ორგანიზაციების მიერ წარდგენილი და დამოუკიდებელი კანდიდატების რეგისტრაციის ვადა. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ლევან ტურაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, არჩევნებში მონაწილეობას იღებს 5 სტუდენტური მოძრაობა. „ერთიანი სტუდენტურ მოძრაობას“ წარმომადგენელი ჰყავს 207 კანდიდატი, „თავისუფალ სტუდენტთა უნივერსიტეტს“ – 27 კანდიდატი, „ნაციონალურ საბჭოს“ – 7 კანდიდატი, „პირველებს“ – 6, „სტუდენტურ ლეგიონს“ – 4 კანდიდატი. დამოუკიდებელ საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირდა 37 კანდიდატი. ფაკულტეტების შესაბამისი კურსების მიხედვით ამომრჩეველი ხმას აძლევს მისთვის სასურველ კანდიდატს. „ჩვენ ყველა ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის მზად ვართ და დიდი იმედი გვაქვს, რომ დამკვირვებლის სტატუსით არასამთავრობო ორგანიზაციები პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან. ჩვენთვის ცნობილია, რომ დამკვირვებლის სტატუსით არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს ა/ო „ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“, – აღნიშნა ლევან ტურაშვილმა.

არჩევნებში გამარჯვებისთვის ვის რა შანსები აქვს — ამ თემაზე, ბუნებრივია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლობა კომენტარს ვერ გააკეთებს. მათთვის არც ის არის ცნობილი, სტუდენტურ მოძრაობებს თვითმმართველობის პრეზიდენტად ვინ ჰყავთ შერჩეული. რა პრეტენზიები და რა გეგმები აქვთ სტუდენტებს, რომლებიც არჩევნებში იღებენ მონაწილეობას? — ამის გარკვევა დამოუკიდებლად ვცადეთ და „თავისუფალ სტუდენტთა უნივერსიტეტისა“ და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წარმომადგენლებს გავესაუბრეთ.

მათ ვერ შეძლეს ის, რასაც ამბობდნენ

გიომ ხუნდაძე, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი:



— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ აპირებთ არჩევნებში დღევანდელ თვითმმართველობას დაუპირისპირდეთ. საინტერესოა, რას გეგმათ?

— არჩევნებში მონაწილეობას ვიღებთ გამოდინარე დღევანდელი სტუდენტური თვითმმართველობის უმოქმედობიდან. დიდი ფიქრის შემდეგ ჩამოვყალიბეთ ორგანიზაცია — „თავისუფალ სტუდენტთა უნივერსიტეტი“. ჩვენ უმრავლესობაში მოსასვლელად ბევრი სტუდენტი გვიჭერს მხარს. გვსურს სტუდენტების თავისუფალი დროის სწორად ხარჯვა უზრუნველყოფით და ამას შევძლებთ.

— თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინიც ზრუნავდნენ, შემოქმედებითი გაეხადათ სტუდენტური ცხოვრება. თქვენ კონკრეტულად რა არ მოგწონათ?

— მათ ვერ შეძლეს ის, რასაც ამბობდნენ. სტუდენტური ღონისძიებები და მივლინებები მხოლოდ სტუდენტთა მცირე ნაწილისთვის იგეგმებოდა. მათ ვერ შეძლეს, სტუდენტური ცხოვრება საინტერესო გაეხადათ, რის გამოც ბევრი ძალიან უკმაყოფილოა.

— თქვენ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობა გსურთ?

— დიახ, ჩემმა ორგანიზაციამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და მეც დავთანხმდი.

— პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში თქვენ რას გააკეთებთ?

— ყველა სტუდენტი იქნება თავისუფალი. უნივერსიტეტის თვითმმართველობის არჩევნებს არ ჩაატარებს რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტია და უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები არ იქნებიან რომელიმე პარტიის ინტერესების გამტარებლები. გვაქვს უამრავი გეგმა, რომელსაც პრეზენტაციებზე წარვადგენთ.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ისინი ხელისუფლებიდან იმართებიან?

— ამაზე თავად ფაქტები მეტყველებს. თვითმმართველობის წევრები პირადად იყვნენ ჩართულნი საპრეზიდენტო არჩევნებში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იმართებიან ხელისუფლებიდან? ჩვენ ვთვლით, რომ სტუდენტები არავის გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცნენ — იქნება ეს ხელისუფლება თუ ოპოზიცია. თვითმმართველობა აპოლიტიკური ორგანიზაცია უნდა იყოს.

— იგი უნდა ასრულებდეს სტუდენტების ნებას — მათი ნება კი თავისუფალი დროის სწორად ხარჯვაა.

— დღევანდელი თვითმმართველობა პირველად იყო არჩეული და ბუნებრივია,

მათ ჰქონდათ შეცდომები, მაგრამ დადებითიც ბევრი გააკეთეს...

— რა იყო დადებითი? ღონისძიებები მხოლოდ ერთიანი სტუდენტური მოძრაობის წევრებისთვის იმართებოდა. მხოლოდ მათ ინტერესებს იცავდნენ. სხვა სტუდენტების იდეები იბლოკებოდა. თუ ვინმეს საღამოს მონაწილეობა უნდოდა და ამისთვის, სულ მცირე, 100 ლარი სჭირდებოდა, ერთი თვე აწვავდნენ. ის რომ ყოფილიყო „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წევრი, მას ხომ არ ექნებოდა 100 ლარზე პრობლემა. ასეთი შემთხვევა უამრავია, ბევრია განაწყენებული და ჩვენ ამან გვაფიქრებინა, რომ არჩევნებში მიგველო მონაწილეობა.

— თქვენ არანაირად არ მოექცევით ვიცილის გავლენის ქვეშ?

— ჩვენ სანამ სტუდენტები ვართ, პასუხისმგებლობას ვიღებ ჩემი ორგანიზაციის სახელით და ვაცხადებ, რომ არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის დაკვეთას არ შევასრულებთ. ჩვენ ვიბრძობთ ბოლომდე სტუდენტის თავისუფლებისთვის.

დავით ცერცვაძე, იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი:

— ორგანიზაცია „თავისუფალ სტუდენტთა უნივერსიტეტის“ ერთერთი ლიდერი ვარ და ჩემი მხარდასაჭერად ჩავერთე ამ ორგანიზაციის საქმიანობაში. ჩვენ გავითვალისწინებთ ნებისმიერი სტუდენტის აზრს, დავიცავთ მათ უფლებებს და თითოეულს თავისი შესაძლებლობების რეალიზებაში დავეხმარებთ.

— არსებული თვითმმართველობაც ატარებდა უამრავ ღონისძიებას, რომელშიც სტუდენტები იყვნენ ჩართულნი...

— ეს ღონისძიებები ხორციელდებოდა თვითმმართველობაში დასაქმებული სტუდენტების მიერ. ეს მართლაც ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობს სტუდენტთა უმრავლესობა. 100-დან 99 გეტყვით, რომ თვითმმართველობის არსებობა არ უგრძობია. ბევრი სტუდენტის იდეა იბლოკებოდა. თვითმმართველობის მიგნითაც ჰქონდა ადგილი დაპირისპირებასა და კონფლიქტს. მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების ინტერესები ტარდებოდა. ამ გუნდმა და სისტემამ ვერ გაამართლა. როცა ერთი გუნდი ვერ ამართლებს, ბუნებრივია, უნდა მოვიდეს მეორე, რომელიც მას შეცვლის და გაატარებს იმ პოლიტიკას, რაც სტუდენტისთვის მაქსიმალურად ეფექტური იქნება.

— ესე იგი არჩევნებში ხელჩართული ბრძოლა გაიმართება?

— რასაკვირველია. ეს ასეც უნდა იყოს — ეს არის დემოკრატიის ერთერთი ფორმა. ერთპარტიული პრინციპი დემოკრატიის არ ნიშნავს. ოპოზიცია ყველა შემთხვევაში საჭიროა, რათა საღამო აზრმა გაიმარჯვოს. რობოტები ხომ არ ვართ, რომ ერთ აზრს მივყვით მარტო.

პირადად გეტყვით, რომ მეც არანაირად არ მიგრძნობია, რომ ჩემს ფაკულტეტზე თვითმმართველობა არსებობდა. ჩემნაირი ძალიან ბევრია.

— თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, რომ თვითონ სტუდენტებიც უნდა იყვნენ აქტიური და თავადაც უნდა იჩინებდნენ ინიციატივას. ბევრი ინერტულია.

— ბუნებრივია, ნებისმიერი სტუდენტი გახდება ინერტული, როდესაც უყურებს, როგორი შიდა მოხტი არსებობს თვითმმართველობაში. სტუდენტებს გული უცრუვდებათ, როდესაც პროექტებს სხვადასხვა მიზეზის გამო არ უფინანსებენ. ჩვენ ამ მიდგომას შევცვლით. ვაპირებთ საბჭოების შექმნას, სადაც უამრავი სტუდენტი დასაქმდება და უნარ-ჩვევებს შეიძენს. ადამიანს უნივერსიტეტი აყალიბებს და ჩვენ სწორედ ამ პროცესს შევუწყობთ ხელს.

თვითმმართველობა უფრო ძვირადღირებული და მოპილური გახდება

გიორგი შამატაძე, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი.



— თქვენ თვითმმართველობის პარლამენტის თავმჯდომარე დაგასახლათ ერთერთ კანდიდატად და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად მოიაზრებით. საინტერესოა, თქვენ რა გეგმები მოდინართ, რას აპირებთ? არსებული თვითმმართველობა პირველი იყო და შეიძლება ვილაყვას თვითმმართველობის შეცვლა, მაგრამ მთავარ თვითმმართველობას უფრო მეტ პრეტენზიებს წაუყენებენ.

— გიორგი ავალიანმა შეკრიბა მთელი თვითმმართველობის წევრები და ისინი ერთობლივად ჩამოვლიდნენ ერთადერთ კანდიდატურაზე — ეს მე გახლავართ. რაც შეეხება მთავარ თვითმმართველობას, პირველი პლუსი ის იქნება, რომ მცირდება დეღეგატა რაოდენობა. თუკი მოქმედი თვითმმართველობა შედგება 267 წევრისაგან, ახალი თვითმმართველობა დაკომპლექტდება 110 წევრით — ეს არის ნიშნავალი ნაბიჯი, რამეთუ იგი უფრო ქმედითი და მოპილური გახდება და ხელმძღვანელებს კონტროლის მექანიზმებიც უფრო მეტი გვექნება. გარდა ამისა, ჩვენ გვეჭრება განათლებული და წესიერი სტუდენტები, რომელთაც საქმის კეთება შეუძლიათ. სწორედ ასეთ ხალხს ვარჩევთ. მოქმედ თვითმმართველობაში ბევრი სტუდენტი შემთხვევით მოხვდა. მათ არ ჰქონდათ გაცნობიერებული — სად და რისთვის მოდიოდნენ? რა უნდა ეკეთებინათ? ეს გამოირიცხვება ახალ თვითმმართველობაში.

როდესაც ადამიანი საქმეს პირველად იწყებს, ბუნებრივია, მას ხარვეზები ყოველთვის თან ახლავს. მთავარ თვითმმართველობას ამ შეცდომების დაშვების უფლება არ აქვს. მოქმედი თვითმმართველობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას დიდი ხანი მოუწდა. აქვე მინდა აღვნიშნო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და რექტორატის დახმარება ამ მიმართულებით.

რაც შეეხება მთავარ თვითმმართველობას, ეს იქნება აბსოლუტურად უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის ერთობლივი ორგანიზაცია, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს სტუდენტების უფლებებს დაცვას, მათ ინტერესებს ვერაფერად საგანმანათლებლო სივრცეში. ვგეგმავთ, ასევე, გემოვნებიან ღონისძიებებს, რათა სტუდენტებმა თავისუფალი დრო საინტერესოდ გამოიყენონ.

— მოქმედ თვითმმართველობას უყენებენ პრეტენზიებს, რომ ძალიან ბევრმა სტუდენტმა მისი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის. ასევე საუბრობენ იმაზე, რომ სტუდენტებს პროექტების განხორციელებაში არ ეხმარებიან. რა ინფორმაცია გაქვთ თქვენ?

— ამ პრეტენზიებს მთლიანად ვერ ვეთანხმები, თუმცა ნაწილობრივ შეიძლება ასეც იყოს. თუ რიგითი სტუდენტის პროექტებს თვითმმართველობის ზოგიერთი წევრი გულგრილად მოეკიდება, ეს იმის ბრალია, რომ ნაწილი შემთხვევით მოხვდა ამ ორგანიზაციაში. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ უმრავლესობას ჩვენ პროექტები დაუფინანსებთ.

წევრების თვეში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შემოსული 25 განაცხადიდან 21 პროექტი დაუფინანსებთ. ეს იყო სხვადასხვა სახის პროექტები — კონფერენციები, კულტურულ-გასართობი, სპორტული ღონისძიებები... ასე რომ, ვერ დავთანხმებით იმაში, რომ არ გავითვალისწინებთ ამა თუ იმ სტუდენტის იდეა და მოსაზრება.

გარდა ამისა, მოქმედი თვითმმართველობა აქამდე ცენტრალიზებული სტრუქტურა იყო და ღონისძიებები მხოლოდ საუნივერსიტეტო მასშტაბით ტარდებოდა. მომავალი თვითმმართველობა კი დეცენტრალიზებული იქნება, ანუ ძირითადად ფაკულტეტები დაინტეგრირდება და ღონისძიებებსაც ფაკულტეტების მასშტაბით ჩავატარებთ.

— ამბობენ, რომ მოქმედ თვითმმართველობას ხელისუფლება მართავს, რომ თვითმმართველობის ძირითადი შემადგენლობა აპოლიტიკური არ არის. თქვენ რას დაუპირისპირებდით ამ მოსაზრებას?

— ცუდია, როდესაც თვითმმართველობას ასეთ ბრალდებას უყენებენ.

ვინც ამას ამბობს, გულსიმობს იმ ფრთას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში. ამ ახალგაზრდულ შტაბში თვითმმართველობიდან წარმომადგენელი იყო დაახლოებით 15-20 პროცენტი წევრებისა, ოპოზიციის პოლიტიკურ კურსსაც ამდენივე პროცენტი უჭერდა მხარს, 60 პროცენტი კი ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებდა. ანუ თვითმმართველობაში უმრავლესობა სრულიად აპოლიტიკურია და არ შეიძლება მთელი ორგანიზაცია ნაციონალურ მოძრაობასთან გავაიგივოთ.

— თქვენ თუ თვითმმართველობის პრეზიდენტად ავირჩევთ, ვინმეს პოლიტიკურ კურსს გაატარებთ?

— ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში თვითმმართველობა იქნება აპოლიტიკური, მაგრამ ყველას აქვს უფლება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ თავისი პოლიტიკური შეხედულება დააფიქსიროს. ჩვენ ამას ვერავის ავუკრძალავთ. საარჩევნო ყუთთანაც ყველა სტუდენტი თავისუფალია, მთავარია იგი პოლიტიკურად ანგაფირებული არ იყოს უნივერსიტეტში.

— თქვენ როგორ გეხსებათ სტუდენტების დასაქმება, მათი უფლებების დაცვა, სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა?

— მიუხედავად ჩვენი ოპოზიციური არაერთი ბრალდებისა, ჩვენ მაქსიმალურად ვითანამშრომლებთ, პირველ რიგში, ხელისუფლებასთან. თუკი რაიმე შემთხვევა იქნება ხელისუფლების მხრიდან და შევეცდებით დავასაქმებთ სტუდენტები, რაზეა საუბარი. რაც შეეხება სტუდენტების უფლებების დაცვას, ჩვენს ორგანიზაციაში ფუნქციონირება და კვლავ გააგრძელდება მუშაობა სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტში.

— ძალიან ბევრმა სტუდენტმა არაფერი იცის სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ. როგორ აპირებთ თქვენი მუშაობის მონაპოვანდს?

— ეს შეიძლება იმის ბრალი გახლდეთ, რომ მოქმედი თვითმმართველობა გახდა ცენტრალიზებული სტრუქტურა. ახლა სიახლეს ის, რომ მუშაობას დავიწყებთ ფაკულტეტებზე, რაც სტუდენტებს ჩვენთან ურთიერთობის საშუალებას მისცემს. ვაპირებთ 6 თვეში ერთხელ სოციალური გამოკითხვების ჩატარებას. ამ გამოკითხვებით გავიგებთ — რისი გავლენა აქვს სტუდენტებს? როგორ წარმოუდგენიათ მათ თვითმმართველობის საქმიანობა? რა მიმართულებით სჭირდებათ ჩვენი დახმარება? რა პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება უნდა? ეს, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას. გარდა ამისა ვგეგმავთ — წელიწადში ერთხელ ან 6 თვეში ერთხელ სტუდენტურმა თვითმმართველობამ ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტებს ჩავაბაროთ ჩვენს მიერ განკუთვნილი მუშაობის ანგარიში, მოვსენ მათ შენიშვნებსა და წინადადებებს. ეს უზრუნველყოფს მათ ინტერესებს ამ ორგანიზაციაში. ამ ღონისძიებათა სინთეზი მოგვცემს იმას, რომ ახალი სტუდენტური თვითმმართველობა იქნება პოპულარული და რეაქტიული სტუდენტებსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში.

— თუ გაიმარჯვებთ არჩევნებში, საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება გექნებათ ოპოზიციურად განწყობილ ფრთასთან? როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა ოპოზიცია, რომელიც თქვენს საქმიანობას გააკონტროლებს?

— თვითმმართველობისა და ჩემი გუნდის კარი ყველაფერს მუდამ ღია იქნება. თუ დავინახავთ, რომ ესა თუ ის დეღეგატი მონადინებულია, რაღაც შემადგენელი თვითმმართველობას, მას მაქსიმალურად ხელს შევუწყობ. ვფიქრობ, ახალ თვითმმართველობაში არ იქნება არავითარი პოზიცია და ოპოზიცია. ეს იქნება ერთიანი გუნდი, რომელიც გუნდური პრინციპით იმუქმდება და გაითვალისწინებს ყველა საღამოადად.

გვერდი მოამზადა ნინო კაპულიანი

თომას ბატას სახელობის უნივერსიტეტი ოსუ-სთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების სურვილს გამოთქვამს

ჩეხეთის ქალაქ ზლინში მდებარე თომას ბატას სახელობის უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების სურვილს გამოთქვამს. ამ მიზნით, აღნიშნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ცეცილოვა მიროსლავამ 17 აპრილს თსუ-ის სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების პრეზენტაცია გამართა. როგორც გაირკვა, ჩეხეთის ისტორიულ ქალაქ ზლინში მდებარე უნივერსიტეტი ატარებს ცნობილი ფეხსაცმელების კონცერნის დამაარსებელი თომას ბატას სახელს, რომელიც სწორედ ამ ქალაქში დაიბადა.

ხათუნა ხატიანაშვილი

ცეცილოვა მიროსლავას განმარტებით, ზლინში უნივერსიტეტი 1969 წელს დაარსდა. მან უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი უმაღლესი სასწავლებლის სახით ფუნქციონირება 2001 წლიდან დაიწყო, დღეისთვის კი იგი უკვე უმაღლესი დონის საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაციაშია გაერთიანებული.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, თომას ბატას უნივერსიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ კომპლექსურ ცენტრს წარმოადგენს, სადაც სწავლება ინგლისურ და ჩეხურ ენებზე მიმდინარეობს. იგი საშუალო ზომის ჩეხურ უნივერსიტეტად ითვლება, სადაც 5 ფაკულტეტი ფუნქციონირებს და 41 აკადემიური პროგრამა ისწავლება, რომელთაგან 10 ინგლისურენოვანია.

უმაღლესი სასწავლებელში ყოველწლიურად განათლებას 11 ათასი სტუდენტი ეუფლება, რომელთაგან 650 საერთაშორისო კონტინგენტს წარმოადგენს. უნივერსიტეტს მთლიანად 430 აკადემიური პერსონალი ემსახურება.

უმაღლესი სასწავლებლის სტატუსით ფუნქციონირების განმავლობაში თომას ბატას სახელობის უნივერსიტეტს მსოფლიოს მასშტაბით 130-ზე მეტი ქვეყნის უნივერსიტეტებთან აქვს გაფორმებული ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი და სურს, თსუ-ის პარტნიორიც გახდეს.

ევროპული ტიპის უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, ჩეხურ უნივერსიტეტში ბაკალავრის ხარისხის მისაღებად სწავლა სამწლიანია. აქ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ — დაეუფლონ ქიმიასა და მატერიალურ ტექნოლოგიებს, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე კი ფილოსოფიისა და ბიზნისის ადმინისტრირებისთვის საჭირო სპეციალობებს. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლება ორწლიანია. ამ უნივერსიტეტში უცხოელი სტუდენტებისთვის მაგისტრის ხარისხის მოპოვება შესაძლებელია ბიზნისისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე (ეკონომიკა და მენეჯმენტი, მარკეტინგი და მენეჯმენტი).

სადოქტორო პროგრამებზე შესაბამისი ხარისხის მისაღებად სწავლება სამწლიანია. დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის უმაღლესი დონეზე ცოდნა, სამაგისტრო ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია იმ საგანში, რომლის შესწავლასაც დოქტორანტურაში აპირებს, ასევე სარეკომენდაციო წერილი, დაბეჭდილი პუბლიკაციები და გამოქვეყნებული ნაშრომები.

თომას ბატას უნივერსიტეტი უცხოელი სტუდენტებისთვის მხოლოდ მგზავრობის ღირებულებას ანაზღაურებს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქ სტუდენტი არაუშეტეს სამი წლის განმავლობაში ისწავლის.

აპლიკანტები თავად დაფარავენ საცხოვრებელ ხარჯებს (კვება და ბინა), რაც თვეში 200 ევროს შეადგენს, ასევე სამედიცინო



დაზღვევას (400 ევრო წლის განმავლობაში), ვიზის საფასურს და დამატებით სამედიცინო გადასახადს ინდივიდუალური კლიმატური საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტის სრული სტუდენტი თვეში 320 ევროს ოდენობის სტიპენდიას მიიღებს. ჩეხეთში მოსალოდნელი „ცხოვრების გაძვირების“ შემთხვევაში, უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა სტიპენდიის გაზრდას აპირებს.

ახალი გაცვლითი პროგრამის შეთავაზუ-

ბამ პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოების დაინტერესება გამოიწვია, რომლის დიდ ნაწილსაც ჰუმანიტარული და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სპეციალობების სტუდენტები წარმოადგენდნენ.

უცხოეთში სწავლის გაგრძელების მსურველებს ურთიერთობა უშუალოდ თომას ბატას სახელობის ადმინისტრაციასთან მოუწევთ და ამაში მათ ცეცილოვა მიროსლავა დაეხმარება.

„ამერიკის იმიჯი საზღვარგარეთ“

სტუდენტური ტელეხიდი

ჰუმანიტარულ ფაკულტეტთან არსებული ამერიკის შესწავლის ცენტრისა და პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის ინიციატივით 16 აპრილს ტელეხიდის მეშვეობით გაიმართა თბილისისა და პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის მიმართულების ქართული და ამერიკელი სტუდენტების შეხვედრა-დისკუსია თემაზე: „ამერიკის იმიჯი საზღვარგარეთ“.

თამარ მარუაშვილი

ამერიკელების მხრიდან ტელეხიდი პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ბარტონი და მისი სტუდენტები: ჯოან მეგი, კუკ ნაუიენი, ემლი აპრა, ხოლო საქართველოს მხრიდან თსუ-ის ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ელენე მემმარიაშვილი და სტუდენტები: ელადა დელიანიდი, მიაა ჩიქვიანია, ხათუნა ქავთარაძე, ქეთი მორგოშია, ნინო დემეტრაშვილი, გვანცა სომხიშვილი, ნინო მასიურაძე და თამუნა ლაგვილავა მონაწილეობდნენ.

ქართულ და ამერიკელ სტუდენტებს შორის საინტერესო, აქტუალური დისკუსია გაიმართა, რომელიც „ამერიკის იმიჯის“ გარდა სხვა თემებმაც შეეხო, კერძოდ — სასწავლო პროცესს, კურიკულუმებს, რელიგიას, კულტურას, ეკონომიკას და საპრეზიდენტო არჩევნებსაც.

ორივე მხარე სათანაზე განმავლობაში ცდილობდა ამომწურავი პასუხები მიეღო მათთვის საინტერესო კითხვებზე. ტელეხიდი მეგობრული და კეთილგანწყობილი ურთიერთობის საუკეთესო მაგალითი გვაჩვენა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

„თსუ-ის ამერიკის შესწავლის ცენტრს დიდი კონტაქტები აქვს ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან. აღსანიშნავია, რომ რატეგრისის უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის დამაარსებელი და პროფესორი ჩვენი სამაგისტრო პროგრამის კონსულტანტია. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტის ხელმძღვანელი მაიკლ ბარტონი რეალურად ეძებს გზებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობისთვის. პროფესორი ბარტონი 2003 წელს ჩვენთან იმყოფებოდა და მონაწილეობდა ამერიკის შესწავლის ცენტრისა და

ამერიკისმცოდნეობის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში. აშშ-დან ხშირად ვინვევთ მეცნიერებს, რომლებიც საერთაშორისო კონფერენციებზე მთავარი მომხსენებლები არიან. ისინი ინტერესდებიან ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობით და ჩვენც, ბუნებრივია, მათთან მუდმივი კონტაქტები გვაქვს.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ბარტონის სურვილია, ჩვენი სტუდენტებისთვის განახორციელოს დისტანციური სასწავლო კურსის პროექტი, მაგრამ ეს საკმაოდ „ძვირი სიახლოვნებაა“. იგი დღემდე ცდილობს ფონდების მოძიებას. რა თქმა უნდა, ამასთან დაკავშირებით ჩვენი ინტერესი დიდია, რადგან რეალური გახდება ქართველი სტუდენტების ამ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნა. თუმცა რისი შეთავაზება შეუძლია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკელი სტუდენტებისთვის, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამერიკელ კოლეგებს შეეთავაზე იდეა — თსუ-ის სტუდენტებისთვის მოგვეწოდოთ ვიდეო ლექციების კურსი. სტენფორდის დამთავრებული და ისინი მალე ქართველ სტუდენტებს ლექციების მოკლე კურსს წაუკითხავენ. პროფესორმა მაიკლ როკლენდმა ვიდეოკონფერენციის სახით პირველი ლექცია გასული წლის დეკემბერში ჩაატარა. იგი პროფესორ ვასილ კაჭარავასთან ერთობლივ კურსს კითხულობს ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. იგი მაის-ივნისში გვემავს კიდევ რამდენიმე ხნის წინ წარუდგინა ბარტონმა შემომთავაზა — სტუდენტები ერთმანეთთან ტელეხიდის მეშვეობით დაგვეკავშირებინა. რა თქმა უნდა, გამიხარდა და დაეთანხმებოდა. აი, ასე მოხდა პირველი ტელეხიდის ჩართვა, რომელშიც მაგისტრანტ სტუდენტებთან ერთად ბაკალავრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ შეხ-

ვედრით კმაყოფილნი დარჩნენ როგორც ჩვენი, ისე ამერიკელი სტუდენტები.“ — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას პროფესორმა ელენე მემმარიაშვილმა.

„ამერიკელებისთვის, ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ მასზე სხვა ქვეყნები. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენად წარმატებული თუ წარუმატებელი იქნება მათი საგარეო პოლიტიკა“, — განაცხადა სტუდენტებთან საუბრისას მაიკლ ბარტონმა. მან გამოთქვა სურვილი, გაეცნოს ჩვენს კურიკულუმებს. პროფესორი იმითაც დაინტერესდა, თუ რა საგნებს სწავლობენ აქ ამერიკის სტუდენტები.

სტუდენტმა ჯოან მეგმა აღნიშნა, რომ ამერიკისმცოდნეობა ძალიან საინტერესო სპეციალობაა, რომელიც ამერიკის კულტურას, ისტორიას, საზოგადოებას ეხება. ეს სპეციალობა, ასევე, საშუალებას იძლევა ნებისმიერ პრობლემას სხვადასხვა კუთხით შეხედო, ბევრი საინტერესო რამ გაიგო იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ცხოვრობ და საქმიანობ...

„მიმაჩნია, რომ ამერიკაზე ქართველების შთაბეჭდილება ძალიან ოპტიმისტური და დადებითია. ქართველები ამერიკისგან დახმარებასა და თანადგომას ელიან. ვთვლი, რომ ეს ამერიკისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკაც, თავის მხრივ, ცდილობს — უფრო მეტი დრო დაუთმოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს და რით შეგვიძლია მათი დახმარება. ამერიკელები საქართველოს იცნობდნენ როგორც რუსეთის ნაწილს, დღეს კი სულ სხვა სიტუაციაა.“ — აღნიშნა მაიკლ ბარტონმა.

დისკუსიის დროს დაისვა კითხვა — რამდენად დემოკრატიული იყო ე.წ. ტერორიზმისა და დაქტატორის წინააღმდეგ ომის წამოწყება ერაყში, რაზეც პროფესორმა ბარტონმა უპასუხა: „რთულია გაიგო, რამდენად სწორია ეს თუ ის ნაბიჯი, მაგრამ მთავარი ის შემთხვევაში იყო ის, რომ თავად ერაყის მოსახლეობას სურდა იმ სისტემისგან გათავისუფლება. ამ გადანაცვლების მომხრე იყვნენ ისინიც, ვინც

ბუშს მხარს არ უჭერდა. შესაძლოა, სადამ ჰუსეინს არ ჰქონდა არანაირი მასობრივი განადგურების იარაღი და ჩვენი შიში ტერორიზმის გაძლიერების გამო უსაფუძვლო გამოდგარიყო, მაგრამ პირიქით რომ ყოფილიყო, მაშინ რა მოხდებოდა? სწორედ ამიტომ გადადგა ამერიკამ ეს ნაბიჯი.“

ამერიკელმა სტუდენტმა კუკმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად ესმის ამ გადანაცვლების მნიშვნელობა, რადგან თავდაცვითიდან არის დევნილი. მან გამოიარა ომი, ნახა ძალიან ბევრი ტყვილი, მსხვერპლი და დანაკარგი, მაგრამ ის ამართლებს ამერიკის ნაბიჯს, რადგან თვლის, რომ ეს ომი ქვეყნებს შორის კი არა, თავისუფლებასა და დიქტატურას შორის იყო. „გასაგებია, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ ნაბიჯს, მაგრამ საცდელად ნამდვილად ღირდა!“ — დასძინა მან.

„საყურადღებოა, რომ ბოლო წელს, საერთო ძალისხმევით, საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ამერიკამცოდნეობის მიმართულებით. ეს არის მეცნიერების სრულიად ახალი დარგი, იგი ინტერდისციპლინარულია და ძალიან პერსპექტიული იმ თვალსაზრისით, რომ ნებისმიერ კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სრულიად განსხვავებული მიმართულებებით, იყოს ლიტერატორი, ისტორიკოსი, სამართალმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე და ა.შ.“ — აღნიშნა პროფესორმა ელენე მემმარიაშვილმა.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტური ტელეხიდი თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ის ქართული განათლების სისტემას კიდევ უფრო დახვეწილსა და სრულყოფილს გახდის. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება, უფრო ახლოს გაეცნონ უცხოელი თანატოლების ინტერესებს, შეხედულებებს, ცხოვრების წესსა და განათლების სისტემის თავისებურებებს, ასევე, ამერიკელ პროფესორებს. ასეთი სახის ვიდეოკონფერენციები მომავალშიც რომ გაგრძელდეს, საჭიროა ტექნიკური საკითხების მონესრიგება თვით ჩვენს უნივერსიტეტში (ვინაიდან ტელეხიდის ორგანიზება ჯერჯერობით მხოლოდ „ღია საზოგადოება — საქართველო“-ს ოფისშია შესაძლებელი), რაც იმედია მომავალში დადებითად გადაწყდება.

პროფესორ დავით დოლიძის დახადებამ 100 წლისთვის საიუბილეო სხდომა მიიქცნა



ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, საქართველოში პირობათანამშრომელის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით დოლიძის დაბადებიდან 100 წლისთავი შესრულდა.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირმა და საქართველოს მექანიკოსთა კავშირმა ამ თარიღს საიუბილეო სხდომა მიუძღვნა, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის საექტორი დარბაზში 17 აპრილს გაიმართა. საიუბილეო სხდომაზე დავით დოლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი პროფესორი ჯონდო შარიქაძე, მოგონებებით კი — პროფესორები ლეონიდა შაფაქაძე, ავთანდილ ციც-

ქიშვილი, ნოდარ ჯორბენაძე. მამა გაიხსენა პროფესორმა ნუგზარ დოლიძემ. მეცნიერის საიუბილეო საღამო ხელოვნების სკოლის მევიოლინეთა ანსამბლის მიერ შესრულებული კლასიკური მუსიკით დასრულდა.

დავით დოლიძე დაიბადა 1908 წლის 3 თებერვალს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუქნარში შემდეგ ბული გულესის ოჯახში. 1924 წელს მან დაამთავრა ობუგეთის გიმნაზია და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკური განყოფილების სტუდენტი გახდა. 1928 წელს დავითი ამთავრებს თბილისის უნივერსიტეტს და სხვა ქართველ მათემატიკოსებთან ერთად აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის რეკომენდაციით და მხარდაჭერით იგზავნება საბჭოთა კავშირის ერთერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრში — ლენინგრადში.

ბავშვობაში მათემატიკაზე არც უოცნებია. ობუგეთის გიმნაზიაში სწავლის დროს იუმორისტულ ჟურნალ „ნაკიურტში“ თანამშრომლობდა — აქვეყნებდა მოთხრობებს, ლექსებს, სტატიებს. მსახიობობდა კიდეც — დრამატულ წრეში იყო ჩაბმული, იმეიათი მუსიკალისა და საუცხოო ტემბრის ტენორის წყალობით ზოგჯერ მუსიკალურ სპექტაკლებში მთავარი როლის შემსრულებლად იწვევდნენ. თბილისში ჩამოსულს ცნობილი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე იონა ტუსკია კონსერვატორიაში შესვლას ურჩევდა, მუსიკის სიყვარული მას ბოლომდე შერჩა, მაგრამ სპეციალობად მათემატიკა არჩია.

ლენინგრადში დავით დოლიძესთან ერთად ასპირანტურაში სწავლობდნენ: ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, ევგენი ხარაძე, ვაჰან მამასახლისოვი, ელფეთერ ანდრონიკაშვილი, ამბროსი რუსაძე, ალიოზა გორ-

გიძე, ბენო ბალაგაძე, იასონ მეცხერიშვილი, ვახტანგ გოგოლაძე, გრიგოლ ხაჭალია. მათთან ერთად ლენინგრადში მეცნიერების სხვადასხვა დარგს ეუფლებოდნენ: გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, შოთა ძიძიგური, სერგი ჟღენტი, მიხეილ ხუბუა, იოსებ მეგრელიძე, მიხეილ ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი. ეს ის თაობაა, რომელმაც შემდგომში სახელი გაუთქვა ქართულ მეცნიერებას.

დავით დოლიძე სახელმწიფო პირობათანამშრომელის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩარიცხა თეორიული პირობათანამშრომლის სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგ, 1933 წელს იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას და სხვებთან ერთად ბრუნდება საქართველოში. დაბრუნებისთანავე იგი მუშაობს ინტეგრირების საკითხზე ინსტიტუტის, შემდგომში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგედ.

1945 წელს დავით დოლიძემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზღვანტი არაკუმევა დიფერენციალური არასტაციონარული მოძრაობის ძირითადი სახეობები“. დისერტაციას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ოფიციალური ოპონენტები, აკადემიკოსები: მ. ლავრენტიევი, ს. ხრისტიაანოვი, ი. ვეკუა.

სამამულო ომის პერიოდში დავით დოლიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი იყო, ამავე დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორბიტალი, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მოადგილე. ამ წლებში იგი განაგრძობდა თბილისის უნივერ-

სიტეტში მუშაობას. დააარსა ჯერ ტექნიკური მექანიკის, შემდეგ კი პირობათანამშრომელის კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. 1947-1954 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო სასწავლო ნაწილში. უნივერსიტეტის სათავეში ამ პერიოდში აკადემიკოსი ნ. კეცხოველი უდგას და თუკი რაიმე სიახლე დაინერგა უნივერსიტეტში და უნივერსიტეტმა სახელი გაითქვა, პროფესორ დავით დოლიძეს, სხვებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი.

უნივერსიტეტში მოღვაწეობისას დავით დოლიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მისი ოთხი სახელმძღვანელო: „კინემატიკა“, „დეფორმაცია სხეულის მექანიკის შესახებ“, „თეორიული მექანიკის მოკლე კურსი“, „პირობათანამშრომელი“. ამ უკანასკნელმა თბილისის უნივერსიტეტის პრემია დაიმსახურა დავით დოლიძის გარდაცვალების შემდეგ.

პროფესორ დავით დოლიძის ნაშრომ-ნაღვანი ძირითადად თავმოყრილია მის მონოგრაფიაში, რომელიც რუსულად გამოვიდა სათაურით: „ზღვანტი სითხის არასტაციონარული დინების ზოგიერთი ძირითადი საკითხი“, რომლის მხოლოდ პირველი კორექტურის ნაკითხვა მოასწრო.

პროფესორი დავით დოლიძე მოულოდნელად გარდაიცვალა 52 წლის ასაკში, 1960 წლის 9 სექტემბერს.

დავით დოლიძის ნაშრომებს დიდ შეფასებას აძლევდნენ მეცნიერები, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. მისი რამდენიმე ნაშრომი გამოვიდა საზღვარგარეთ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამეცნიერო წრეებში ჩვენს თანამემამულეს რომ დიდად

აფასებენ, ერთი ფაქტიდანაც ჩანს: ცნობილი რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ნიკოლოზ კოჩინის არქივში დაუთმავრებული ალმონდა საკმაოდ დიდი გამოკვლევა იდეალური სითხის სასაზღვრო ამოცანის შესახებ. ეს გამოკვლევა რუს მეცნიერთა თხოვნით დაასრულა და დასაბუთდა მოაზრება სწორედ დავით დოლიძემ, რისთვისაც მათი დიდი მადლობა დაიმსახურა.

პროფესორი დავით დოლიძე აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილთან ერთად მონაწილეობდა მექანიკის დარგში ქართული ტერმინოლოგიის დამუშავებასა და დამკვიდრებაში.

დავით დოლიძემ დააარსა მეცნიერული სემინარი, რომელშიც პირობათანამშრომელი დაინტერესებული ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას. ყოველწლიურად ესმარებოდა მათ, გულწრფელად უხარდა მათი მიღწევები, თუმცა მათი საბოლოო დაფრთხილება ვერ მოასწრო. ამ დახმარებას და მხარდაჭერას, რომელსაც მეცნიერებაში ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს უწევდნენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო აგრეთვე ზნეობრივი გაკვეთილი, რომლის დავინებება არ შეიძლება“, — წერდა პროფესორი სერგი რეგიერა დავით დოლიძის შესახებ. ალბათ ამიტომაც უწოდებს აკად. ნ. მუსხელიშვილი დავით დოლიძეს „მომხიბვლელ ადამიანს, საუკეთესო პედაგოგს და მოუღწეველ მკვლევარს, თავისი მოვალეობის განსაკუთრებული კეთილშობილებით შემსრულებელს“.

ეს სპეციალი და უკეთილშობილესი პროფესორი დაუწინაყარია მისი კოლეგებისა და მოწაფეებისთვის.

პროფესორი ჯონდო შარიქაძე, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი

მათემატიკური სკოლა ღირსეულად აბრძლებს დიდი მეცნიერების ტრადიციებს

22-25 აპრილს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მიმდინარეობდა სემინარის XXII გაფართოებული სხდომები, რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 101-ე წელს მიუძღვნა.

სემინარი გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მათემატიკური სკოლა ღირსეულად აბრძლებს დიდი მეცნიერების ტრადიციებს, რისი ერთერთი დასტურია ეს სემინარია. „ქართული მათემატიკური სკოლა შეგვიძლია, პოპულარული გავხადოთ ევრაზიის რეგიონში, ამისთვის საჭიროა ინგლისურენოვანი პროგრამების შექმნა და ამ სკოლის გეოგრაფიული არეალი გაფართოება. უნივერსიტეტის მათემატიკურ საზოგადოებაში ამის რესურსები ნამდვილად არის. ასევე უნდა შეიქმნას ინტერდისციპლინარული პროგრამები, რომელშიც მათემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. ცოტა ხანში იურიდიულ ფაკულტეტზე დაინერგება ახალი სასწავლო კურსი, რომელშიც გათვალისწინებულია ამ საგნის სწავლება, რადგან ყველა მეცნიერებისთვის საჭიროა მათემატიკური აზროვნება“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

გაფართოებული სხდომების მონაწილეობა მიესალმა თსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი აგაორ კალანდაძე. მან აღნიშნა, რომ ამგვარი სემინარები სამეცნიერო ინფორმაციის გავრცელების, მაგისტრანტების და დოქტორანტების ცოდნის დონის ამაღლების კარგი საშუალებაა.

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ გიორგი ჯავახიშვილის თქმით, სემინარი ტრადიციულია და იგი აკადემიკოსმა ილია ვეკუამ დააარსა. გაფართოებულ სხდომებში ყოველთვის ასობით მეცნიერი მონაწილეობს, მათ შორის, უცხოელებიც. მიმდინარე სემინარის მაღალ სამეცნიერო მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მის მუშაობაში უნგრელი მეცნიერი, პროფესორი გ. გატი მონაწილეობს. მეცნიერება სემინარის გაფართოებულ სხდომებზე 104 მოხსენება წარადგინეს. ცალ-ცალკე მუშაობდა ათი სამეცნიერო სექცია: მათემატიკის საფუძვლებსა და მათემატიკური ლოგიკის (ხელმძღვანელი ალექსანდრე ხარატიშვილი); ფუნქციის თეორიის (ხელმძღვანელი ლერი გოგოლაძე); კომპლექსური ანალიზისა და გამოყენების (ხელმძღვანელი თენგიზ მუხუნერია); დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის თეორიის (ხელმძღვანელი თამაზ თაღუმაძე); კერძონარმოვნიანი დიფერენციალური განტოლებების (ხელმძღვანელი გიორგი ჯავახიშვილი); მყარი დეფორმაციის მექანიკის (ხელმძღვანელი მიხეილ ბაშაღიშივილი); სითხისა და აირის მექანიკის მათემატიკური პრობლემის (ხელმძღვანელი ჯონდო შარიქაძე); გამოთვლითი მექანიკის (ხელმძღვანელი თამაზ ვაშაყმაძე); ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის (ხელმძღვანელი ელიზბარ ნადარაია); მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის (ხელმძღვანელი დავით გორდენაიანი).

23 აპრილს გაფართოებული სხდომების მონაწილეობა მონაწილენი პანთეონში ყვავილებით შეამკეს ილია ვეკუას საფლავი.

მთელი რეპტორატი და პროფესორ ბამორჩიელი ასპირანტის დასაცავად დადგა

გარდაცვალა ლვანლომილი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების, რუსული ლიტერატურის ისტორიის განყოფილების სრული პროფესორი ლინა ხინაძე.

ქალბატონმა ლინამ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის ა. გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში. როდესაც ე.ნ. „ოსობი ოტდელის თანამშრომლებმა“ (სუკის განყოფილება იყო საბჭოთა პერიოდის ყველა დანესებულებში) აღმოაჩინეს, რომ ასპირანტი ლინა ხინაძე „ხალხის მტრის“ ქალიშვილი ყოფილა, მოინდომეს მისი ასპირანტურიდან გარიცხვა, მაგრამ ლინამ მთელი რექტორატი და პროფესორი გამოიჩინა ასპირანტის დასაცავად დადგა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ქალბატონ ლინას სამსახურს ლენინგრადის ნამყვან უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში სთავაზობდნენ, მაგრამ მან სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა. ორი წლის განმავლობაში იგი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის გამგე იყო. 1962 წელს ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს.

ქალბატონმა ლინამ სტუდენტთა არაერთი თაობა აღზარდა. მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვ-

ანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. ინტელიგენციის უფროს თაობას დღესაც ახსოვს 70-იანი წლების ლიტერატურული საღამოები. ეს იყო წლები, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში პასტერნაკის, ახმატოვას, ცვეტაევის და სხვა, ნახევრად აკრძალული მწერალ-პოეტების შემოქმედებაზე საუბარი თითქმის ანტისაბჭოურ ქმედებად აღიქმებოდა.

1977 წელს ლინა ხინაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოში რუსული ლიტერატურის აღქმის ისტორიული (ისტორიული ფუნქციონალური შესწავლის ცდა)“. ამ ნაშრომით მან ახალი მიმართულება მისცა რუსულ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობების კვლევას. ნაშრომი მოიცავდა რეცეფციული პროცესების ანალიზს, ქართული ლიტერატურული საზოგადოების მიერ რუსული ლიტერატურის აღქმის ნამყვან ტენდენციებს, კონკრეტული ფორმების სიმრავლეში საერთო კანონზომიერებას, რუსული ლიტერატურის ქართულ საზოგადოებაში დასაბუთებას გამომწვევებს. ეს იყო ახალი სიტყვა ლიტერატურათმცოდნეობაში, რომელმაც შექმნა ახალი მიმდინარეობა ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლაში.

გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა, ქალბატონი ლინა სისტემატურად აქვეყნებდა პოეტიკურ სტატიებს გაზეთებსა და ჟურნალებში. მისმა წერილმა „ავტორი თუ მთარგმნელი“, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურაში“ გამოქვეყნდა, დიდი კამათი გამოიწვია საკავშირო მასშტაბით. ეს წერილი ნაკითხა იმ დროის ცნობილმა რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა პავლე ანტოკოლსკიმ და გამოემხურა საბჭოთა ინტელი-



გენციის ყველაზე პოპულარულ „ლიტერატურაში“ გაზეტს“ ფურცლებიდან. ანტოკოლსკის წერილს მოჰყვა სხვა ცნობილი ავტორების წერილები და თითქმის ორი წლის განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე ერთმანეთს დისკუსიური ურთიერება — „ლინა ხინაძის სტატიის შესახებ“.


1999 წელს ა. პუშკინის დაბადების 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუსეთში გამოიკვა საიუბილეო სამეცნიერო კრებულები. ერთერთ კრებულში ქალბატონ ლინას მრავალი წლის წინათ დაწერილი სტატიაც დაიბეჭდა. ამგვარად, ლინა ხინაძის ნაშრომები შესულია პუშკინიანას ოქროს ფონდში.

ბევრი შეიძლება ითქვას ლინა ხინაძის სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ალბათ საჭირო იქნება მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სათანადო შესწავლა და განაღვივება (ის იყო მრავალი მონოგრაფიისა თუ სამეცნიერო სტატიის ავტორი). ჩვენ, მისი მონაწილეები და კოლეგები ღირსეულად გავაგრძელებთ მის საქმიანობას.

კომპანია Virgin Atlantic-ის თვითმფრინავმა ლონდონსა და ამსტერდამს შორის უჩვეულო რეისი შეასრულა. თვითმფრინავის ბაკების ოცი პროცენტი ბიოლოგიური საწვავით იყო შევსებული. ეს საწვავი ქოქოსის ზეთისა და პალმა ბაბასუს ნაყოფის ზეთს შეიცავს. სულ ცოტა ხნის წინ კომპანია ამჟამავე მატარებელი, რომლის საცავე-ბიც, ასევე ოცი პროცენტით, ბიოდიზელით იყო შევსებული. მეცნიერებმა კი ამას „პირველი თაობის“ ბიოსაწვავი შეარქვეს და ეჭვის თვალით შეხედეს. მინესოტას უნივერსიტეტის ეკონომისტების გათვლით, გაზრდილი მოთხოვნილება სასურსათო კულტურების შემცირებას გამოიწვევს და 2025 წლისთვის მსოფლიოში მილიარდ ორასი ათასი კაცი იმომილებს. სწავლულთა უმეტესობას მიაჩნია, რომ საჭიროა „მეორე თაობის“ ბიოსაწვავის შექმნა, რომელსაც ქალაქებში დაგროვილი ნარჩენებისგან მიიღებენ.




ცნობილი მეცნიერის რეი კურცვაილის განცხადებით 2029 წლისთვის ხელოვნური ინტელექტი რობოტებს არა მხოლოდ აზროვნების, ადამიანური ემოციების განცდის საშუალებასაც მისცემს. სწავლულს არ სჯერა, რომ „მანქანების აჯანყება“ შესაძლებელია და აცხადებს, ჩვენ ხომ დღესაც ადამიანურ-მანქანურ ეპოქაში ვცხოვრობთ, უამრავ საქმეს მანქანები ადამიანებზე უკეთ აკეთებენ, შემდეგი ნაბიჯი კი, ალბათ, ადამიანისა და მანქანის შეუღლება იქნება. როგორც ჩანს, ცივილიზაციის განვითარება ადამიანური და ხელოვნური ინტელექტების გაერთიანების საშუალებას შექმნის. ახალი სამეცნიერო აღმოჩენები უკვე იძლევა ადამიანის ტვინში მიკროჩიპების გადანერგვის საშუალებას. ეს კი მის გონებრივ შესაძლებლობებსაც გააძლიერებს და ორგანიზმსაც დაიცავს. მიკროჩიპები ადამიანს საშუალებას მისცემს — დაიმასხვროს უამრავი ინფორმაცია, კომპიუტერის სისწრაფით გათვალისწინებულად ვარიანტი და ვირტუალურ სამყაროსაც კი საკუთარი ნერვული სისტემით დაუკავშირდეს. სულ ცოტა ხნის წინ რეი კურცვაილი აშშ-ის ეროვნულმა საინჟინრო აკადემიამ იმ ჯგუფის წევრად აირჩია, რომელმაც XXI საუკუნეში კაცობრიობის წინაშე წამოჭრილი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები უნდა ჩამოაყალიბოს.



ეს კომპიუტერი Comsumate Computer Competition /CS/ შესაჯობებლად შეიქმნა და სახელად კომპიუტერი-ბიბლია უწოდეს! მას წიგნის, უფრო სწორად, ბიბლიის ერთერთი წიგნის ფორმა აქვს და ზედმეტ სახელად „მეთერთმეტე მცნება“ შეარქვეს. რატომ მეთერთმეტე? იმიტომ, რომ ამ კომპიუტერის დევიზი სწორედ ის მეთერთმეტე მცნებაა, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: „ნუ შეაწუხებ კომპიუტერს, როცა მუშაობს“.

დედამინა განვითარების ახალ ერაში — ანტროპოცენტრში შედის, — განაცხადებს ბრიტანელმა მეცნიერებმა და იქვე დაამატეს, რომ ცვლილებები, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, ადამიანთა მოღვაწეობის შედეგია და იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დინოზავრების ეპოქის დასასრულს იყო. მეცნიერების მტკიცებით, მისი კვალი შეიძლება მილიონობით წლის შემდეგაც აღმოაჩინონ. ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რა თქმა უნდა, ნახშირორჟანგის რაოდენობა ჩათვალეს, რაც ნებისმიერი ვულკანის მიერ რამდენიმე წლის მანძილზე გამოყოფილ რაოდენობას ბევრად აღემატება და პლანეტას ჰაერისა და ტემპერატურის რეჟიმს შეუცვლის. გარდა ამისა, მეცნიერთა მტკიცებით, კაცობრიობის მოღვაწეობამ მსოფლიო ოკეანეში მჭავიანობის დონე ასწია, რამაც შესაძლოა მარჯების ზრდა შეაჩეროს და საზღვაო რიფების სტრუქტურა შეცვალოს, რაც, თავის მხრივ, მცენარეთა და ცხოველთა გარკვეულ სახეობებს შეცვლის და კვებით ჯაჭვს დაარღვევს.

სწავლულთა განცხადებით, დღესდღეობით, შეუძლებელია ზუსტად განსაზღვროს ეს ყოველივე რა შედეგებს მოიტანს, მაგრამ უკვე აკარაა — ინდუსტრიულიზაციამ დედამიწას სახე იმდენად შეუცვალა, რომ მის ნიშნებს რამდენიმე მილიონი წლის შემდეგაც აღმოაჩინენ.



ბრიტანელმა ასტრონომებმა კოსმიურ სივრცეში კიდევ ერთი ვარსკვლავური სისტემა აღმოაჩინეს. მეცნიერთა განცხადებით ახალი პლანეტარული სისტემა ძალიან ჰგავს მზის სისტემას. მის ცენტრში ასევე ვარსკვლავია მოქცეული, რომლის ირგვლივაც მინიმუმ ორი პლანეტა ტრიალებს. ეს პლანეტები კი, თავისი ზომებით, იუპიტერსა და სატურნს უახლოვდება. თუმცა, აქვე აღნიშნავენ, რომ პლანეტები შესაძლოა გაცილებით მეტი იყოს, ხოლო მათ შორის ეს ორი ყველაზე დიდია და უკეთესადაც იმიტომ გამოჩნდა. „ახალი სისტემა მზის სისტემის შემცირებული ვარიანტის კლიონია. ვარსკვლავს მზის ნახევარი მასა აქვს, პლანეტები კი მასთან იგივე პროპორციებით, ორჯერ უფრო ახლოს არიან“, — განაცხადა მეცნიერმა მარტინ დომინიკამ. მისი აზრით, ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ მზის სისტემის მსგავსი სისტემები სამყაროში გაცილებით მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე აქამდე წარმოგვედგინა და მათ შორის, ალბათ, დედამიწის მსგავსი პლანეტაც მოიძებნება.



ტანზანიის მთებში მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ცხოველი აღმოაჩინეს. ეს ცხოველი, რომელსაც ლათინურად *homoichia uzungensis* უწოდეს, გრძელყურებიანი, მოხუტუნავე არსებების რიგს განეკუთვნება და სიდიდით კატის ზომისაა. მას ნაცრისფერი თავი, გრძელი, მგრძობიარე ცხვირი და ქარვისფერ-ყვითელი სხეული აქვს. ცხოველი მწერებით იკვებება და ამ ჯგუფის სხვა არსებებისგან საგრძობლად განსხვავდება. კალიფორნიის სამეცნიერო აკადემიის მეცნიერმა გალენ რატბურნმა განაცხადა, რომ მართალია იტალიელმა მკვლევარმა ფრანჩესკო როვერამ ამ ცხოველს სურათი ფერად 2005 წელს გადაუღო, მაგრამ ვიდრე საკუთარი თვალი არ იხილა, მისი არსებობის მაინც არ სჯეროდა.



ნანოტექნოლოგიების ცენტრის მკვლევარებმა, დოქტორ ბაბაკ ზიის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს მინიატურული, უსადენებო მონწყობილობა, რომელიც ადამიანის ორგანიზმში გადაინერგება და მის ქსოვილებში რადიაციის დონეს გაზომავს. მონწყობილობა ბრინჯის მარცვალზე უფრო პატარაა და ქსოვილში იგი შპრიცით შეჰყავთ. როგორც კი მონწყობილობა ქსოვილში მოხვდება, მაშინვე, სხეულის კონკრეტულ ნაწილში, რეალური დროის რეჟიმში, რადიაციული დონის აღმნიშვნელ სიგნალებს გადმოსცემს. ეს აპარატი უმცირესი, პასიური დოზიმეტრია, რომელიც რადიოსიხშირულ დიფენციული კატოდთანაა მიერთებული (RFID). სიგნალებიც ასევე რადიოსიხშირებით გადაიცემა.

იუდა ისკარიოტელის 30 ვერცხლი სააღდგომო ეტიუდი


ძნელად მოიძებნება კაცი, რომელმაც არ იცოდეს იუდას კოცნისა და „30 ვერცხლის“ ამ იდიომატურ გამოთქმათა მნიშვნელობა. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული მასწავლებლის, მოძღვრის გაცემა დღესაც ისევე აღლევებს ადამიანებს, როგორც 2000 წლის წინათ. მათეს სახარებაში იუდა ისკარიოტელის ღალატი ამგვარადაა აღწერილი: იუდა „ერთი იმ თორმეტთაგანი“, მოწვევით ქრისტესი, საერთო ყულაბის განმკარგავი, მივიდა იერუსალიმის მღვდელმთავრებთან, მაცხოვრის დაუძინებელ მტრებთან და უთხრა მათ: „რას მომცემთ, რომ გადმოგცეთ იგი“ (მათე, 26:15). მაშინვე „მოუწონეს მას ოცდაათი ვერცხლი“. საინტერესოა, გავერკვეთ ამ ღალატის ზუსტ ფასში. თავად მაცხოვარი, რომელმაც წინასწარ იცოდა მოღალატის სახელი, ასე აფასებდა მას: „უჯობდა იმ კაცს არ დაბადებულყოფი“.

ახ. წ. 30 წლის მარტსა და აპრილში ფესახის დღესასწაულზე, როდესაც იერუსალიმში სუსხიანი საღამო იყო, იუდამ „კედრონის ღელის გაღმა, ბაღში“, იმ ადგილას, სადაც იესო ნაზარეტელი უნდა შეხვედროდა თავის მიმდევარს, მის დასაჭერად მიიყვანა ათასისთავი მთელი რაზმით. იონანეს სახარების თანახმად, აქ „შეიპყრეს იესო და შეკრეს“ (იონანე, 18:15). მანამდე გამცემმა მათ ნიშანი მისცა, მოძღვარს ეამბოროა შემდეგი სიტყვებით: „გინაროდენ, მასწავლებლო!“ როგორც ჩანს, დაპატიმრებაში რომელიღაც ლეგიონერები მონაწილეობდნენ, რადგან მაცხოვარი პილატეს — რომაელ პროკურატორს მიჰგვარეს. ღალატის ფასი 30 ვერცხლი, საინტერესოა, ეს ცოტაა თუ ბევრი? ახ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში იუდაში, რომელიც მაშინ რომის იმპერიის პროვინციას წარმოადგენდა, ორი სამონეტო სისტემა ყოფილა გავრცელებული. ერთი ადგილობრივი, ვერცხლის ნონაზე დამყარებული საფასეები ე.წ. სიკლები (სეკელი) და მეორე — რომაული ვერცხლის მონეტები ე.წ. დენარები. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ავგუსტესა (ძვ.წ. 275 - ახ. წ. 146) და ტიბერიუსის (ახ.წ. 14- 37 წწ.) ვერცხლის ფულები იყო. სახარებიდან კარგად ჩანს, რომ მათ მაცხოვარი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდა. გავიხსენოთ მისი სიტყვები დენართან დაკავშირებით წარმოთქმული: „მარჯნით ხარკის მონეტა“, და მიუტანეს მას დენარი. იკითხა — „ვისია ეს სახე და წარწერა?“ მათ თქვეს — „კეისრისა!“ — მიეცით კეისრს კეისრისა და ღმერთსა — ღმერთსა“ (მათე, 22 : 19-21).

ბიბლიის „ახალი აღთქმის“ წიგნებში არ არის მინიშნებული, თუ რომელი სამონეტო სისტემით მოხდა მოღალატისთვის გასამრჯელოს მიცემა. სამაგიეროდ კარგად არის ცნობილი მათი ერთმანეთთან შეფარდება — რემიდიუმი. საშუალოდ ერთ სიკლში ოთხ დენარს იძლეოდნენ. უფრო კარგად რომ წარმოვიდგინოთ დენარის ღირებულება, გავიხსენოთ, რომ რომაელი ლეგიონერის დღიური ნაზღაურება ერთი დენარი გახლდათ. საინტერესოა ლეგიონერის ხელფასის შედარება თანამედროვე, აშშ-ის არმიის ჯარისკაცის თვიურ ხელფასთან. დღეს ამერიკელი რიგითის თვიური ხელფასი 1000 დოლარია, რაც დაახლოებით 30 რომაული დენარის ტოლფასია. თუ იუდას რომაული ვალუტით გადაუხადა გაცემის საფასური, მაშინ მას 1000 ამერიკული დოლარი აუღლი! ხოლო თუ ვერცხლით — 4000 დოლარი. ასეთია ერთი შემაზრხენი ღალატის ფინანსური მხარი.

გურამ ლორთქიფანიძე

ჰარმარდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენის შემდეგ განაცხადეს, რომ კაცობრიობას მალე კიბოს წამალი ექნება. მათ შეძლეს მიეკვლიათ — რომელი ნივთიერება უწყობს ხელს კიბოს უჯრედების განვითარებას. სპეცილისტებმა დაადგინეს ფერმენტი, რომელიც კიბოს უჯრედებს დიდი რაოდენობით გლეუკოზის შთანთქმის და უკიდვანოდ გაზრდის საშუალებას აძლევს. პირუვატკინაზის ფერმენტს ორი სახეცვლილება აქვს და მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ ერთერთი მათგანი — ჰკმ2 — ეხმარება უჯრედებს გლეუკოზა ჭარბი რაოდენობით მიიღოს. როდესაც მეცნიერებმა ეს ფერმენტი „დაბლოკეს“ და უჯრედი აიძულეს ფერმენტის მეორე ნაირსახეობაზე გადართულიყო, სიმსივნის წარმოქმნის სისწრაფე შესამჩნევად შემცირდა. ჯერ არავინ იცის ამ მეთოდის კლინიკური გამოცდა რა შედეგს მოიტანს, მაგრამ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ამ საშუალებით საწყის ეტაპზე სიმსივნის წარმოქმნის პროცესის შეჩერება შეიძლება.



მასალა მოამზადა მინანა მიქაელაძემ

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:
მთავარი სამცხანისტი	მაია ტორაძე	ნოდარ ბელუქია, გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე,
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე	ნოდარ ხალუა, თემურ ნადარეიშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა	თამარ ქავჭავაძე	მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ.1
		22 10 34